საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა 2014 წლის 1 იანვარს, დამატებითი ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის მომზადების მოთხოვნების შემოსაღებად. ახალი კანონმდებლობით საგადასახადო ორგანოებს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების უფლება აქვთ გარკვეულ გარიგებებთან მიმართებით, მათ შორის, დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ გარიგების ფასი არ არის თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგების ფასი.

მსგავსი განუსაზღვრელობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, გაუფასურების ზარალის ანარიცხის შეფასებასთან და გარიგებების საბაზრო ფასებთან. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სრულად აქვს დარიცხული საგადასახადო თანხა და ამგვარად, ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გარემოსდაცვითი საკითხები - საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებემოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება - კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, როდესაც ის გამოიცემა იმ ბაზრებისთვის, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა კომპანიის მიერ, ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციისა და სათანადო შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, შეფასებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის საბაზრო მონაცემების ინტერპრეტირებისათვის აუცილებელია განსჯის გამოყენება. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები და ეკონომიკური პირობების გამო კვლავ შეზღუდულია ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მასშტაბი. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, ან ასახავდეს ზეწოლის ქვეშ გაყიდვის ოპერაციებს და ამგვარად, არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს (რომლის მიღებაც მოსალოდნელია), დისკონტირებულს მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ახლოსაა მათ სამართლიან ღირებულებებთან, მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. განსაზღვრული დაფარვის ვადის მქონე ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება განისაზღვრა

მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა დისკონტირება განხორციელდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 1-ლი დონის შეფასების გამოყენებით, ხოლო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მე-2 დონის შეფასების გამოყენებით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვის მეშვეობით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღი ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას დივიდენდების გადახდის შემდეგ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას და შეფასებულია 10,788 ათასი ლარის ოდენობით (2021 წ.: 8,867 ათასი ლარი).

კომპანიას არ გააჩნია გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალზე.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ თანხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის საქმიანობისთვის დაფინანსების უზრუნველყოფა. კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები აქვს, როგორიცაა მაგალითად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,450	1,966
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,952	3,913
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,327	2,670
საოჯარო ვალდებულებები	2,972	2,733

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ძირითადი რისკები უკავშირდება უცხოურ ვალუტას, პროცენტებს, კრედიტებს და ლიკვიდობის რისკებს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკია რისკი, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენს სავალუტო კურსების ცვლილება. კომპანია გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში ახორციელებს. კომპანია წარმოებულებს არ იყენებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წ. 31 დეკემბერი		2021 წ. 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.8844 ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.5040 ლარი
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	6	3	-
სულ ფინანსური აქტივები	**2**	**6**	**3**	**-**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(45)	(17)	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(45)**	**(17)**	**-**	**-**
სულ ნეტო პოზიცია	**(43)**	**(11)**	**3**	**-**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სამუშაო ვალუტის ვალუტის 20%-ით გამყარების/გაუფასურების შემთხვევაში. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო თარიღით შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი – 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი – 20%
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე	(9)	9	(2)	2

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი – 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი – 20%
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე	1	(1)	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიას არა აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან მას არ გააჩნია მცოცავი საპროცენტო განაკვეთით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები.

<u>მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები</u>
ზემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი დაშვების ცვლილების გავლენა მაშინ, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. თუმცა, რეალობაში არსებობს ამ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის კორელაცია. აღსანიშნავია ასევე, რომ ეს მგრძნობელობა წრფივი არ არის და ამ შედეგებიდან უფრო მეტი ან ნაკლები გავლენის ინტერპოლაცია ან ექსტრაპოლაცია არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში გათვალისწინებული არ არის, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთან, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს იმ დროს, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობა დაფიქსირდება. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის მიზანია ბაზრის მერყეობის რისკის მართვა. ინვესტიციების ბაზარი იცვლება სხვადასხვა დონის გარკვეული მიზეზების გამო და ხელმძღვანელობის ქმედებები შეიძლება მოიცავდეს

ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის განაწილების შეცვლასა და სხვა დამცავ ზომებს. შედეგად, დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება ფაქტობრივად არავითარი გავლენა არ იქონიოს ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ბალანსში საბაზრო ღირებულებით აისახება. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებული შეფასების საფუძველი განაპირობებს სააქციო კაპიტალის მერყეობას.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზის სხვა ნაკლოვანებები მოიცავს ბაზარზე სავარაუდო ცვლილებებს, რათა წარმოჩინდეს პოტენციური რისკი, რაც წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის შეხედულებას შესაძლო მოკლევადიან საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დანამდვილებით წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია; და ასევე დაშვებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთნაირად იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის მომხმარებლის დეფოლტის ან მის მიერ კომპანიის წინაშვე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის რისკი, რაც კომპანიისთვის ზარალის წარმოქმნას განაპირობებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს კომპანიის მქასიმალურ საკრედიტო რისკს. კომპანია საცალო ვაჭრობით არის დაკავებული. საცალო ვაჭრობის სექტორში გაყიდვები მაღაზიებში ხორციელდება გადახდის ტერმინალების მეშვეობით და მომხმარებელი პროდუქტისთვის მაშინვე იხდის თანხას.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ყველა ვალდებულების დაფარვას მაშინ, როდესაც დადგება მათი დაფარვის ვადა.

კომპანია ამ სახის რისკებს აკონტროლებს დაფარვის ვადის ანალიზისა და მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის მეშვეობით. ლიკვიდობის რისკის მართვისთვის კომპანია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია დეტალური ინფორმაცია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადებისა და გადახდის პერიოდების შესახებ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღის გამოყენებით, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს როგორც პროცენტის, ისე ძირითადი თანხის გადახდებს. სახელშეკრულებო დაფარვის ვადა ეფუძნება უახლოეს თარიღს, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი მოცემულია შემდეგ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ემყარება კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. ამ ცხრილებში მითითებული თანხები არ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებს, რადგან ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზს, და ასახულია სულ დარჩენილი სახელშეკრულებო გადახდები (პროცენტის გადახდების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
2022 წ. 31 დეკემბერი			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,450	-	1,450
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,952	-	4,952
სულ	**6,402**	**-**	**6,402**
2022 წ. 31 დეკემბერი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,327	-	4,327
საოჯარო ვალდებულებები	2,287	919	3,206
სულ	**6,614**	**919**	**7,533**

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
2021 წ. 31 დეკემბერი			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,966	-	1,966
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,913	-	3,913
სულ	**5,879**	**-**	**5,879**
2021 წ. 31 დეკემბერი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,670	-	2,670
საიჯარო ვალდებულებები	1,945	1,005	**2,950**
სულ	**4,615**	**1,005**	**5,620**

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მესაკუთრეებს, საერთო საკუთრებასა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე, ძირითად ხელმძღვანელ პირებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ გარიგებები, რომლებსაც დაუკავშირებელი მხარეები არ დადებენ. იმავე პირობებსა და გარემოებებში დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შეიძლება ეფექტური არ იყოს დაუკავშირებელ მხარეებს შორის გარიგებებთან შედარებით.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას შემდეგი ნაშთები და გარიგებები ჰქონდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2022 წ. 31 დეკემბერი			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,096	-	-	**4,096**
საიჯარო ვალდებულებები	2,972	-	-	**2,972**

	2021 წ. 31 დეკემბერი			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,491	-	-	**2,491**
საიჯარო ვალდებულებები	2,733	-	-	**2,733**

	2022			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
ამონაგები	111	-	-	**111**
შესყიდვები	304	-	-	**304**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	5	-	-	**5**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	102	-	-	**102**
საპროცენტო ხარჯი	132	-	-	**132**

	2021			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
ამონაგები	673	-	-	**673**
შესყიდვები	127	-	-	**127**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	344	-	-	**344**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	102	-	-	**102**
საპროცენტო ხარჯი	183	-	-	**183**

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურება გახლდათ მოკლევადიანი გასამრჯელოები და შეადგენდა 492 ათას ლარს და 123 ათას ლარს, შესაბამისად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

მმართველობის ანგარიში

1. **საქმიანობის მიმოხილვა**

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სან სთორზ“ (შემდგომში“კომპანია”) საიდენტიფიკაციო ნომრით: 404901282, თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც რეგისტრირებულია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. თ. N6, რეგისტრაციის თარიღი 16 ივნისი, 2011 წელი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 830,000 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 100% ავტორიზებული და სრულად გადახდილი საწესდებო კაპიტალი იყო 830,100 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბერს, ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შპს სან პეტროლეუმ ჯორჯია იყო კომპანიის პირდაპირი მშობელი.

2022 წლის ბოლოსთვის კომპანია ამუშავებს 77 მაღაზიას და 10 ჯიხურს, საქართველოს მასშტაბით მდებარე გალფის საწვავის სადგურებზე. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქციაში შედის: სხვადასხვა სასმელები, სხვადასხვა სახის სიგარეტი, ჩიფსები, შოკოლადის ფილები, ჰოთ-დოგები და ა.შ. დასაქმებულთა რაოდენობა, 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 441 და 366 ადამიანს, შესაბამისად.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შპს სან სთორზ-ის შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 42,585,689 ლარი (2021: 36,261,238 ლარი). კომპანიის მთლიანი მოგება 2022 წელს შემცირდა 2021 წელთან შედარებით 3,939,584 ლარიდან 3,410,798 ლარამდე.

3. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია სისტემატიურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას. კომპანია წლის მანძილზე აქტიურად ახდენს მომხმარებელთა აზრის კვლევას მის მიერ შეთავაზებულ პროდუქციასა და სერვისთან დაკავშირებით. კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა გაუგზავნოს შეტყობინებინება მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით. კომპანია მუდმივად ახდენს პროდუქციის მონიტორინგს. კომპანია მუდმივად ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მომხმარებელთან სიახლოვე პრიორიტეტულია, ამიტომ ის მუდმივად იკვლევს მათ ინტერესს და ზრუნავს კმაყოფილების ზრდაზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს სან სთორზ არ ფლობს ფილიალებს.

5. კომპანიის საკრედიტო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება კომპანიის მენეჯმენტის დონეზე ყოველთვიურად. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები.

6. საბაზრო რისკი

სან სთორზ-ის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი არის პროდუქციის ფასის ზრდა. კომპანიის პროდუქციის დიდი ნაწილი იმპორტირებულია სხვა ქვეყნიდან და შესაბამისად მომწოდებელი დამოკიდებულია შესყიდვის დროს არსებულ გაცვლით კურსზე. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ლარში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასში, შესასყიდი ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით, თუმცა ეს პროცედურა ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას.

ამასთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კომპანიის კონკურენტები არიან როგორც ეგრედ წოდებული სასურსათო მაღაზიები, რომლებიც ავტოგასამართი სადგურის მახლობლად მდებარეობს, ასევე სხვა ავტოგასამართ სადგურებზე არსებული მაღაზიები.

კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში, ხოლო საფასო და მომსახურების ხარისხის (მაღაზიის ვიზუალი, კონსულტანტის ურთიერთობა მომხმარებელთან, საბონუსე ქულების სისტემის არარსებობა) სეგმენტში არაბრენდულ მაღაზიებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანიაში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება არაფორმალურად და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლითვის მისაღები და სასურველი იყოს პროდუქტების შეძენა.

7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს კომპანიის მაღაზიების მონიტორინგს, ატარებს ნაშთების ინვენტარიზაციას, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით ავტოგასამართ სადგურის მენეჯერი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს მაღაზიის საწყობის ინვენტარიზაციას, ხოლო დამოუკიდებელი სამსახური თვეში ერთხელ აკეთებს გენერალურ ინვენტარიზაციას.

დამატებით თითოეულ მაღაზიაში არის დამონტაჟებული სამეთვალყურეო სისტემა, რომლის მუდმივი მონიტორინგი სდება უფლებამოსილი გუნდის მიერ.

ამ ზომების გარდა, კომპანიას დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

8. განვითარების გეგმები

შპს სან სთორზ გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია: უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე, ახალი სერვისების დანერგვაზე, ასევე კომპანიამ დაიწყო სხვა მომსახურეობის სფეროების დამატება, მაგალითად ავტომანქანის რეცხვის სერვისი „self service". გარდა ამისა, ლოიალობის პროგრამა, საოპერაციო სისტემების განვითარება, ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდა, კვლავ რჩება შპს სან სთორზ-ის პრიორიტეტად.

კომპანია გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია როგორც უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე, ისე ახალი სერვისების დანერგვაზე. კომპანია მუდმივად ანვითარებს ლოიალობის სისტემას, მაგალითად 2018 წლიდან თითოეულ მომხმარებელს შეუძლია უკუკავშირის მოწერა მომსახურეობასთან დაკავშირებით.

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

უკრაინა-რუსეთის ომის დროს საწვავი ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილ ავტომობილებს მიეწოდებოდათ. გარდა ამისა, საახალწლო და აღდგომის პერიოდებში უკიდურესად გაჭირვებულ პირებს გაეწია ფინანსური დახმარება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ცხოველების დაცვა და მათზე ზრუნვაა. კომპანიამ 2022 წელს 50-ზე მეტ ძაღლს დაეხმარა და მათთვის 4 ტონაზე მეტი საკვები გასცა. გარდა ამისა, კომპანია მთელი წლის განმავლობაში ზრუნავს 300-ზე მეტ ძაღლზე, უზრუნველყოფს მათ სამედიცინო ან სხვა ვეტერინარულ მომსახურებას.

განათლების სფეროში ჩართულობის ფარგლებში, კომპანიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან რამდენიმე სტუდენტის სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ აშშ-ში. ასევე აღსანიშნავია, რომ 100 საუკეთესო სტუდენტს ყოველწლიურად 300 ლარის სტიპენდია გადაეცა.

კომპანია ასევე აწვდის წიგნებს რეგიონულ ბიბლიოთეკებს. კომპანიამ მოინახულა საქართველოს 200-ზე მეტი სოფელი, რათა მოეწყო ბიბლიოთეკები განათლების დონის ასამაღლებლად, ასევე 20 სტუდენტს გადაეცა პერსონალური კომპიუტერები.

ზაზა ურუშაძე
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
13 ოქტომბერი 2023

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N231620340
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	22.11.2023 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნინო ხოფერია
სანოტარო ბიუროს მისამართი	ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. 24/1
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	+995 32 2 98 70 24
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	29346810324623

მე, თ ნოტარიუსი ნინო ხოფერია, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. თბილისი, რუსთაველის 24/1, ვამოწმებ, (ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატის 000254, გაცემული 12/05/2023), მქონე თარჯიმნის ნიკოლო ვინჩენცო მალვესტუტოს დაბ. 31.10.2004წ. დაბადებულს, მცხ, ქ. თბილისი ბერი გაბრიელ სალოსის გამზ. N 165 ბ. 60 პირადი: 01111100452), ხელმოწერის ნამდვილობას.მთარგმნელი გაფრთხილებულია, რომ ის პასუხს აგებს თარგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას.

დოკუმენტი შედგენილია ერთ ეგზემპლარად, 41 (ორმოცდაერთ) გვერდზე.

სანოტარო საზღაური - 123.00 (ას ოცდასამი) ლარი, თანახმად სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ 2011წ. 29.12. #507 მთავრობის დადგენილების მუხლი 31-სა, აგრეთვე დღგ (18%) საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლის საფუძველზე და 5(ხუთი) ლარი, სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურის შესახებ 39-ე პ.1 მუხლის შესაბამისად. სულ გადახდილია 150.14 (ას ორმოცდაათი ლარი და თოთხმეტითეთრი) ლარი.

ნოტარიუს ნინო ხოფერია.

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

შპს სან სთორზ

ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი
აუდიტორის დასკვნა 2022 წლის 31 დეკემბერს
დასრულებული წლისთვის

შპს სან სთორზ

სარჩევი

გვერდი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის:

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-32

1.	შპს სან სთორზ და მისი საქმიანობა	5
2.	კომპანიის საოპერაციო გარემო	5
3.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა	6
4.	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები	15
5.	ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება	16
6.	საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები	17
7.	ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	21
8.	გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	21
9.	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21
10.	ძირითადი საშუალებები	22
11.	აქტივის გამოყენების უფლება	23
12.	მარაგები	24
13.	სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	24
14.	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	26
15.	საწესდებო კაპიტალი	26
16.	სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	26
17.	პირობითი ვალდებულებები და მოვალეობები	26
18.	ფინანსური ინსტრუმენტები	27
19.	დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები	31
20.	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	32

სხვა ინფორმაცია - მმართველობის ანგარიში 2022 წ.

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს სან სთორზის მესაკუთრესა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს სან სთორზის (შემდგომში „კომპანია") ფინანსურ მდგომარეობას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულად ნაკადებს იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის შესაბამისად.

აუდიტის საგანი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის;
- ფულადი ნაკადების ანგარიშგებას აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლისთვის; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის ყველა მნიშვნელოვან სააღრიცხვო პოლიტიკას და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე" - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული პროფესიონალ ბუღალტერთა საერთაშორისო ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტების) (IESBA კოდექსი) შესაბამისად. ჩვენ შევასრულეთ IESBA კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა მმართველობის ანგარიშგება არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ჩვენ ასევე მოგვეთხოვება, გამოვთქვათ ჩვენი მოსაზრება შეესაბამება თუ არა მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები მათ მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ინფორმაცია.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს საფუძველზე, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში იმ ფინანსური წლის შესახებ მოცემული ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადებულია ფინანსური ანგარიშგება, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებას;
- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია შეესაბამება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის მოთხოვნებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს, ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს ფრაისუოთერჰაუსკუპერს საქართველო (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (სარეგისტრაციო ნომერი SARAS-A-562091)

2023 წლის 13 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

შპს სან სთორზ

მოგების ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2022	2021
ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	7	42,586	36,261
გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(29,825)	(26,367)
მთლიანი მოგება		**12,761**	**9,894**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	8	(7,048)	(4,100)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(2,137)	(1,814)
ფინანსური ხარჯები	11	(132)	(183)
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის (ზარალი)/შემოსულობა, ნეტო		(40)	34
სხვა შემოსავალი, ნეტო		7	109
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**3,411**	**3,940**
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		**3,411**	**3,940**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		**3,411**	**3,940**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ზაზა ურუშაძე
გენერალური დირექტორი

2023 წლის13 ოქტომბერი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-32 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს სან სთორზ

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	2,868	1,657
არამატერიალური აქტივები		65	50
აქტივის გამოყენების უფლება	10	1,104	1,072
სულ გრძელვადიანი აქტივები		**4,037**	**2,779**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	7,456	5,532
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	13	4,952	3,913
მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხები		22	23
წინასწარ გადახდილი გადასახადი		476	529
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	1,450	1,966
სულ მოკლევადიანი აქტივები		**14,356**	**11,963**
სულ აქტივები		**18,393**	**14,742**
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი და რეზერვები			
საწესდებო კაპიტალი	15	830	830
გაუნაწილებელი მოგება		9,948	8,037
სულ კაპიტალი		**10,778**	**8,867**
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულებები	10	807	901
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**807**	**901**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	4,327	2,670
მიღებული ავანსები და სხვა ვალდებულებები	17	316	472
საიჯარო ვალდებულებები	10	2,165	1,832
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**6,808**	**4,974**
სულ ვალდებულებები		**7,615**	**5,875**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**18,393**	**14,742**

ხელმძღვანელობის სახელით:

_____

ზაზა ურუშაძე
გენერალური დირექტორი

2023 წლის XX სექტემბერი
თბილისი, საქართველო

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-32 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნები	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბერს		**830**	**6,097**	**6,927**
წლის მოგება		-	3,940	3,940
წლის სრული შემოსავალი		-	3,940	3,940
გამოცხადებული დივიდენდები	15	-	(2,000)	(2,000)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერს		**830**	**8,037**	**8,867**
წლის მოგება		-	3,411	3,411
წლის სრული შემოსავალი		-	3,411	3,411
გამოცხადებული დივიდენდები	15	-	(1,500)	(1,500)
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერს		**830**	**9,948**	**10,778**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-32 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის
(ათასი ლარი)

	შენიშვნა	2022	2021
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება		3,411	3,940
შესწორებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია		1,112	844
ფინანსური ხარჯები		132	183
მარაგის დათვლისას გამოვლენილი დანაკლისი		15	143
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო		(3)	41
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი, ნეტო		27	27
უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ზარალი/(შემოსულობა), ნეტო		40	(34)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალი ცვლილებამდე		4,734	5,144
საბრუნავი კაპიტალის ცვლილება:			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ზრდა		(1,011)	(1,791)
მომწოდებლებისთვის წინასწარ გადახდილი თანხების შემცირება/(ზრდა)		1	(6)
მარაგების ზრდა		(1,924)	(1,494)
წინასწარ გადახდილი გადასახადების შემცირება /(ზრდა)		53	(245)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ზრდა		1,618	1,750
მიღებული ავანსებისა და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(156)	411
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,315**	**3,769**
გადახდილი პროცენტი		(183)	(183)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		**3,132**	**3,586**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა		(1,928)	(776)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(37)	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,965)**	**(776)**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
გადახდილი დივიდენდები	15	(1,500)	(2,000)
საიჯარო ვალდებულებების ძირითადი ნაწილის დაფარვა		(166)	(290)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		**(1,666)**	**(2,290)**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში	14	**1,966**	**1,449**
უცხოურ ვალუტაში ფლობილ ფულად სახსრებზე უცხოური ვალუტის გაცვლის კურსის ცვლილების გავლენა		(17)	(3)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს	14	**1,450**	**1,966**

განმარტებითი შენიშვნები, რომლებიც მოცემულია 5-32 გვერდებზე, წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1. შპს სან სთორზ და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად შპს სან სთორზისთვის (შემდეგში „კომპანია“), 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

შპს სან სთორზ ("კომპანია") დაფუძნდა საქართველოში 2011 წლის 16 ივნისს და საქმიანობას ახორციელებს საქართველოში. კომპანია არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, დაფუძნდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 404901282.

კომპანია ამუშავებს 77 მაღაზიას და 10 ჯიხურს (2021 წ.: 68 მაღაზია და 7 ჯიხური), საქართველოს მასშტაბით მდებარე გალფის საწვავის სადგურებზე. კომპანია მომხმარებელს სთავაზობს სხვადასხვა პროდუქციას, მათ შორის: სხვადასხვა სასმელი, სხვადასხვა სახის სიგარეტი, ჩიპსები, შოკოლადის ფილები, ჰოთ-დოგები და ა.შ. დასაქმებულთა რაოდენობა, 2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს შეადგენდა 441 და 366 ადამიანს, შესაბამისად.

კომპანიის რეგისტრირებული მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი # 34, თბილისი, საქართველო.

შპს სან სთორზის უშუალო აქციონერია შპს პეტროლიუმ ჯეორჯია, რომელიც მისი 100% წილის მფლობელია. კომპანიის საბოლოო მესაკუთრეები არიან ბატონი ივანე ნაკაიძე და ბატონი დავით იაკობაშვილი, 53% და 38% წილის მესაკუთრეები, შესაბამისად (2021 წ.: სს „როსნეფტი“ და ბატონი დავით იაკობაშვილი, 49% და 38% წილით). დანარჩენი აქციები სამი პირის საკუთრებაა.

აქციონერის სახელი	2022 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი
ბატონი ივანე ნაკაიძე	53%	-
ბატონი დავით იაკობაშვილი	38%	38%
სს „როსნეფტი“	-	49%
სხვები	9%	13%
სულ	**100%**	**100%**

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (ლარი), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

თანხების დამრგვალება. ფინანსურ ანგარიშგებასა და განმარტებით შენიშვნებში ასახული ყველა თანხა დამრგვალებულია უახლოეს ათას ლარამდე, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2. კომპანიის საოპერაციო გარემო

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობასა და ინტერპრეტაციებში. საქართველოს სამომავლო ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

COVID-19. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ 2020 წლის მარტში ოფიციალურად გამოაცხადა COVID -19 პანდემია. პანდემიის გავლენის შემცირების მიზნით, საქართველოს მთავრობამ მიიღო მთელი რიგი ზომები COVID -19 -ის გავრცელებისა და მისი გავლენის შესაჩერებლად, როგორიცაა შეზღუდვები მგზავრობაზე, კარანტინი, თვითიზოლაცია და შეზღუდვები ბიზნეს საქმიანობაზე, რაც მოიცავდა საქმიანობის შეწყვეტასაც. ზოგიერთი ზემოაღნიშნული შეზღუდვა შემდგომში შემსუბუქდა, თუმცა, 2022 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით, არსებობს რისკი, რომ ხელისუფლებამ დააწესოს დამატებითი შეზღუდვები 2023 წელს, ვირუსის ახალი ვარიანტების გამოჩენის საპასუხოდ.

ომი რუსეთსა და უკრაინას შორის. 2022 წლის 24 თებერვალს, რუსეთის მიერ სამხედრო ძალების რუსეთ-უკრაინის საზღვართან თავმოყრის შემდეგ, რუსეთის ჯარებმა გადაკვეთეს უკრაინის საზღვარი. ეს შეჭრა, რომელიც საერთაშორისო მასშტაბით მიჩნეულია, რომ ომს წარმოადგენს, ჩვეულებრივი შეიარაღების მეშვეობით განხორციელებული უდიდესი სამხედრო შეტევაა ევროპულ სახელმწიფოზე მეორე მსოფლიო ომის შემდეგ. მან განაპირობა ლტოლვილთა უდიდესი კრიზისის წარმოქმნა ომის დაწყების შემდეგ, რადგან მილიონობით უკრაინელმა დატოვა თავისი ქვეყანა და სახლი. უკრაინაში ომის გამო წმყვანმა ქვეყნებმა და ეკონომიკურმა გაერთიანებებმა მკაცრი ეკონომიკური სანქციები დააწესეს რუსეთზე და მრავალმა კომპანიამ შეწყვიტა საქმიანობა რუსეთსა და ბელარუსში.

სიტაუაცია ჯერ დარეგულირებული არ არის, თუმცა მან უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და არსებითი ეკონომიკური დანაკარგები უკრაინის, რუსეთისა და დანარჩენი მსოფლიოსთვის.

რადგან ომი ჯერ კიდევ მიმდინარეობს, შეუძლებელია კომპანიაზე მისი სრული ზეგავლენის საიმედოდ შეფასება, რადგან განუსაზღვრელობაა ზოგადად ეკონომიკაზე მისი ზეგავლენის მასშტაბთან დაკავშირებით.

2022 წელს საქართველოს ეკონომიკამ პანდემიისგან აღორძინების დადებითი დინამიკა აჩვენა. ამ ტენდენციას ასევე დაეხმარა უცხოელი მოქალაქეების მიგრაცია, რამაც გამოიწვია მოთხოვნის გაზრდა პროდუქტებსა და მომსახურებაზე. თუმცა, გაზრდილი მოთხოვნის შედეგად გაიზარდა ფასები, რამაც ხელი შეუწყო ინფლაციას საქართველოში.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია წინასწარ განსაზღვროს ყველა მოვლენა, რომელსაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს ქართულ ეკონომიკაზე და შესაბამისად, კომპანიის სამომავლო მდგომარეობაზე, თუ ასეთი გავლენა ექნება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ყველა საჭირო ზომას იღებს კომპანიის საქმიანობის მდგრადობისა და განვითარების მხარდასაჭერად.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, პირვანდელი ღირებულების კონვენციის მიხედვით, მოდიფიცირებულია ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების საფუძველზე თავდაპირველი აღიარებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგებების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა წარმოდგენილია ქვემოთ. წინამდებარე პოლიტიკა თანმიმდევრულად გამოიყენებოდა ყველა წარდგენილ პერიოდში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის. იხილეთ მე-5 შენიშვნა.

ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის მოითხოვება გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებებისა და ასევე ხელმძღვანელობის მიერ განსჯის გამოყენება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გათვალისწინებისას. საკითხები, რომლებიც მოიცავს უფრო მაღალი დონის ან სირთულის განსჯას, ან, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ფინანსურ ანგარიშგებაზე, ასახულია მე-4 შენიშვნაში.

ამონაგების აღიარება. ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით. ამონაგები შემცირდება მომხმარებელთა მიერ საქონლის დაბრუნების, ფასდათმობისა და მსგავსი ანარიცხების შეფასებული ოდენობით.

საქონლის გაყიდვა. კომპანია ახორციელებს საცალო ვაჭრობის მაღაზიების ქსელის ოპერირებას საქართველოს მასშტაბით მისი მშობელი საწარმოს ბენზინგასამართ სადგურებთან. საქონლის რალიზაციიდან მიღებული ამონაგები აღიარდება საქონლის მიწოდებისას და საკუთრების უფლების გადაცემისას, როდესაც დაკმაყოფილებულია ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;

- კომპანია არ ინარჩუნებს გაყიდული საქონლის საკუთრებასთან ასოცირებულ მენეჯერული ჩართულობის დონეს და არც ეფექტურ კონტროლს;
- ამონაგების საიმედოდ შეფასება შესაძლებელია;
- მოსალოდნელია, რომ საქონლის გადაცემასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოვა; და
- შესაძლებელია ამ ოპერაციასთან დაკავშირებით გაწეული ან გასაწევი დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

კომპანია საქონლის გაყიდვის მოვალეობის შესრულებას აღიარებს დროის მომენტში, რადგან დასაკმაყოფილებელია მხოლოდ ერთი მოვალეობის შესრულება. მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს საქონელი და არ არსებობს შეუსრულებელი მოვალეობა, რომელმაც შეიძლება გავლენა იქონიოს მომხმარებლის მიერ საქონლის მიღებაზე. მიწოდება ხორციელდება მაშინ, როდესაც საქონელს მომხმარებელი მოიხმარს, რაც მაღაზიაში საქონლის შეძენისა და გადახდისთანავე ხდება.

უცხოური ვალუტა – ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ოპერაციები, გარდა კომპანიის სამუშაო ვალუტაში (უცხოური ვალუტა) განხორციელებული ოპერაციებისა, აღირიცხება ოპერაციების განხორციელების თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუატაში გამოსახული ფულადი მუხლები თითოეული საანგარიშგებო თარიღით გადაანგარიშდება აღნიშნული თარიღით არსებული სავალუტო კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოსახული, სამართლიანი ღირებულებით ასახული არაფულადი მუხლები გადაანგარიშდება იმ სავალუტო კურსებით, რომელიც არსებობდა სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის თარიღით. არაფულადი მუხლები, რომლებიც პირვანდელი ღირებულებითაა შეფასებული უცხოურ ვალუტაში, არ გადაანგარიშდება.

ყველა ფულადი მუხლიდან წარმოქმნილი საკურსო სხვაობები იმ პერიოდის მოგებისა ან ზარალის ანგარიშგებაში აღიარდება, როდესაც ისინი წარმოიქმნა.

ქვემოთ მოცემულია წლის ბოლოს არსებული სავალუტო კურსები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას:

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
ლარი/აშშ დოლარი	2.7020	3.0976
ლარი/ევრო	2.8844	3.5040

მოგების გადასახადი. 2016 წლის მაისში საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა კომპანიების დაბეგვრის არსებული მოდელის ცვლილება, რომელიც ყველა პირისათვის, გარდა გარკვეული ფინანსური ინსტიტუტებისა, ძალაში შედის 2017 წლის 1 იანვარს. ახალი მოდელი ითვალისწინებს გაუნაწილებელი მოგების დაბეგვრას 0%-იანი განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგების დაბეგვრას 15%-იანი მოგების გადასახადით. ადრე მოქმედი მოდელით კომპანიებს 15%-იანი განაკვეთით ერიცხებოდათ მოგების გადასახადი იმის მიუხედავად, იგი კომპანიაში რჩებოდა თუ დივიდენდების სახით გაიცემოდა.

მოგების გადასახადით დაბეგვრის ახალი წესები ძალაშია 2017 წლის 1 იანვრიდან, ვრცელდება კომპანიაზე და საგადასახადო ბაზა მოიცავს როგორც რეალურ, აგრეთვე ნაგულისხმევ მოგების განაწილებას, მათ შორის:

- განაწილებული მოგება;
- გაწეული ხარჯები ან სხვა გადახდები, რომლებიც არაა კავშირში ეკონომიკურ საქმიანობასთან;
- საქონლის/მომსახურების უფასო მიწოდება ან/და სახსრების გადარიცხვა; და
- წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აჭარბებს საგადასახადო კოდექსით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას.

განაწილებულ მოგებაზე დარიცხული მოგების გადასახადი აღიარდება ხარჯად დივიდენდების გამოცხადების მომენტისათვის და მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება „მოგების გადასახადის ხარჯებში“. მიმდინარე და წარსული პერიოდების მიმდინარე საგადასახადო აქტივი და საგადასახადო ვალდებულებები ფასდება იმ თანხით, რომელიც, სავარაუდოდ უნდა გადაეხადოს საგადასახადო ორგანოებს ან მიღებულ იქნეს მათგან.

გადასახადი, რომელიც ვრცელდება განაწილებული მოგების გარდა სხვა ოპერაციებზე, როგორც ეს ზემოთ არის აღწერილი, აღირიცხება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, „საერთო და ადმინისტრაციულ ხარჯებში“.
ახალი კანონმდებლობის მიღების გამო კომპანიამ შეწყვიტა მოგების გადასახადის ხარჯის აღიარება მოგების წარმოქმნისას და მოგების გადასახადის ხარჯს ასახავს მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში. გადავადებული გადასახადის ნაშთი მთლიანად გაუქმდა და აღიარდა 2016 წლის 31 დეკემბერს დასრულებული პერიოდის მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

დამატებული ღირებულების გადასახადი (დღგ). გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს საქონლის მომხმარებლისთვის მიწოდებისას. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლელი დღგ-ის საპირისპიროდ დღგ-ის ანგარიშ-ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის გადახდა/ჩათვლა ნეტო საფუძველზე. გაყიდვებთან ან შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო საფუძველზე და აისახება როგორც აქტივი ან ვალდებულება. მოთხოვნების გაუფასურებისთვის ანარიცხის შექმნისას გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოვალის მთლიანი თანხისთვის, დღგ-ის ჩათვლით.

ძირითადი საშუალებები. ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთით და/ან დაგროვილი გაუფასურების ანარიცხებით.

ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტის შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან. შემდგომი დანახარჯები კაპიტალიზდება, თუ სამომავლო ეკონომიკური სარგებელი წარმოიქმნება ამ დანახარჯების გაწევის შედეგად. უმნიშვნელო რემონტისა და ტექნიკური მომსახურების დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება აქტივის სამართლიან ღირებულებას, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, და მის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის გასულ წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალი ანულირდება როდესაც შესაფერისია, თუ ადგილი ჰქონდა აქტივის გამოყენების ღირებულების ან სამართლიანი ღირებულების, შემცირებული გაყიდვის დანახარჯებით, განსაზღვრისას გამოყენებული შეფასებების ცვლილებებს.

გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება საბალანსო ღირებულებასთან შემოსული თანხების შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, სხვა სოპერაციო შემოსავალში და ხარჯებში.

ის ძირითადი საშუალებები, რომლებიც არიან მშენებლობის პროცესში წარმოების, მიწოდების და ადმინისტრაციული მიზნებისთვის, აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული ნებისმიერი აღიარებული გაუფასურების ზარალით. თვითღირებულება მოიცავს პროფესიული მომსახურების საფასურს და განსაკუთრებული აქტივებისთვის, ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს, რომლებიც კაპიტალიზდა კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად. ამ აქტივებს ცვეთა სხვა ძირითადი საშუალებების აქტივების მსგავსად დაერიცხება, როდესაც ეს აქტივები მზადაა მათი დანიშნულებისამებრ გამოყენებისთვის.

მიწას ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით მათი ღირებულების გადასანაწილებლად ნარჩენ ღირებულებაზე 20%-იანი ფიქსირებული განაკვეთის გამოყენებით გამოყენებით ყველა სახის აქტივისთვის:

შენობები	20%
ავტომობილები	20%
მანქანები და მოწყობილობები	20%
კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	20%
ავეჯი და მოწყობილობები	20%

ძირითადი საშუალების აღიარება შეწყდება მისი გასვლისას, ან როდესაც მოსალოდნელი არ არის რაიმე სამომავლო ეკონომიკური სარგებელი მისი გამოყენებიდან. ნებისმიერი შემოსულობა თუ ზარალი, რომელიც წარმოიქმნება აქტივის აღიარების შეწყვეტის გამო, განისაზღვრება როგორც სხვაობა წმინდა გასვლის შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალში.

აქტივების გამოყენების უფლება. კომპანია თავისი მაღაზიებისთვის იჯარით იღებს შენობა-ნაგებობებს ბენზინგასამართი სადგურების ტერიტორიაზე. აქტივები, რომლებიც წარმოიქმნება იჯარიდან თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე.

აქტივების გამოყენების უფლება ფასდება თვითღირებულებით და შედგება შემდეგისგან:
- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასების თანხა;
- ნებისმიერი საიჯარო გადახდა, რომელიც განხორციელებულია დაწყების თარიღით ან მანამდე, შემცირებული ნებისმიერი მიღებული საიჯარო წამახალისებლებით;
- ნებისმიერი საწყისი პირდაპირი დანახარჯი; და
- აქტივის იჯარის შეთანხმებით მოთხოვნილ მდგომარეობამდე აღდგენის დანახარჯები.

საზოგადოდ, აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

ყველა იმ იჯარისთვის, სადაც კომპანია მოიჯარეა, იჯარის ვადა უფრო მოკლეა ვიდრე აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა და ის ცვეთას ექვემდებარება წრფივი მეთოდის საფუძველზე იჯარის პერიოდის, 5 წელი, განმავლობაში.

მარაგები. მარაგი აისახება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებში მარაგის შეფასებული სარეალიზაციო ფასი, რომლიდანაც გამოქვითულია დასრულებისა და გაყიდვის შეფასებული ხარჯები. მარაგების ღირებულება განისაზღვრება „ფიფო“ მეთოდის საფუძველზე.

ფინანსური ინსტრუმენტები - შეფასების ძირითადი პირობები. ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით, რაც დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე და აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით, ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას, მიუხედავად იმისა, ეს ფასი პირდაპირ დაკვირვებადია თუ შეფასებულია, შეფასების სხვა მეთოდის გამოყენებით. აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების შეფასებისას კომპანია ითვალისწინებს აქტივის ან ვალდებულების მახასიათებლებს, თუ ბაზრის მონაწილეები აღნიშნულ მახასიათებლებს გაითვალისწინებენ აქტივის ან ვალდებულების შეფასების თარიღით შეფასებისას. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

ამასთან, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის სამართლიანი ღირებულების შეფასებები კლასიფიცირებულია 1-ელი, მე-2 ან მე-3 დონის ჯგუფებად, რაც დამოკიდებულია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას გამოსაყენებელი მონაცემების დაკვირვებადობის ხარისხზე და ამ მონაცემების მნიშვნელობაზე მთლიანობაში სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის. შეფასების დონეები ქვემოთ არის აღწერილი:

- 1-ლი დონის შეფასება არის იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიური ბაზრების კოტირებული ფასები (დაუკორექტირებელი), რომლის მოპოვება საწარმოს შეუძლია შეფასების თარიღისთვის;
- მე-2 დონის შეფასება გახლავთ 1-ელ დონეში ასახული კოტირებული ფასების გარდა სხვა მონაცემი, რომელიც დაკვირვებადია პირდაპირ ან ირიბად; და
- მე-3 დონის შეფასება ეფუძნება მხოლოდ ემპირიულ ამოსავალ მონაცემებს აქტივის ან ვალდებულების შესახებ.

ფინანსური ინსტრუმენტი აქტიურ ბაზარზე კოტირებულად მიიჩნევა, თუ კოტირებული ფასები ადვილად და რეგულარულად ხელმისაწვდომია საფონდო ბირჟის ან სხვა ინსტიტუტისგან და და ეს ფასები წარმოადგენენ ფაქტობრივ და რეგულარულად განხორციელებულ საბაზრო გარიგებებს გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასებისათვის, რომელთათვისაც საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის ხელმისაწვდომი, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელები ან გაშლილი ხელის მანძილის პრინციპის ბოლო ტრანზაქციებზე დაფუძნებული მოდელები ან ინვესტიციის მიმღების ფინანსური მონაცემები. შეფასების მეთოდებისთვის შეიძლება საჭირო იქნეს ისეთი დაშვებების გამოყენება, რომლებიც მხარდაჭერილნი არ არიან დაკვირვებადი საბაზრო მონაცემებით. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში გამჟღავნებულია ინფორმაცია, თუ ნებისმიერი მსგავსი დაშვების გონივრული შესაძლო ალტერნატივით შეცვლა გამოიწვევს მოგების, შემოსავლის, მთლიანი აქტივების ან მთლიანი ვალდებულებების მნიშვნელოვნად შეცვლას.

გარიგების დანახარჯები არის დამატებითი დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გასვლას. დამატებითია დანახარჯი, რომელიც არ გაიწეოდა, მოცემული ოპერაცია რომ არ განხორციელებულიყო. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის თანამშრომლები, რომლებიც მოქმედებენ როგორც აგენტები), მრჩევლებისთვის, ბროკერებისთვის, დილერებისთვის და მარეგულირებლებისთვის გადახდილ საფასურს და საკომისიოს, ასევე სატრანსფერო გადასახადებს და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო პრემიას ან ფასდაკლებებს, ფინანსურ დანახარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან მფლობელობასთან დაკავშირებულ დანახარჯებს.

ამორტიზებული ღირებულება ("AC") არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მიღებული გაუფასურების ზარალის გამო ჩამოწერის თანხით. დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების და ნებისმიერი პრემიის ან დისკონტის ამორტიზაციას ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საფასურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებაში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი ისე, რომ მიღწეულ იქნეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავალი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მცოცავ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოქმნის ფინანსურ აქტივს ერთი საწარმოსთვის და ფინანსურ ვალდებულებას ან წილობრივ ინსტრუმენტს მეორე საწარმოსთვის.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება, როგორც შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული. თავდაპირველი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია დამოკიდებულია ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მახასიათებლებზე და კომპანიის ბიზნესის მოდელზე, რომელსაც კომპანია იყენებს მათი მართვისთვის. კომპანია ფინანსურ აქტივებს ამორტიზებული ღირებულებით აფასებს, თუ ქვემოთ მოცემული ორივე პირობა დაკმაყოფილებულია:

- ფინანსური აქტივი ამ ბიზნესის მოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად; და
- ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე (SPPI). ამ შეფასებას SPPI ტესტს უწოდებენ და ინსტრუმენტის დონეზე ტარდება.

კომპანიის ბიზნესის მოდელი შეფასდა ფასს 9-ის პირველად გამოყენებისას, 2018 წლის 1 იანვარს. კომპანიის ყველა ფინანსური ინსტრუმენტისა და ოპერაციის მიზანია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება საწვავის, ბუნებრივი აირისა და სხვა პროდუქტების გაყიდვიდან. ეს არის კომპანიის მიზანი და ჩვეულებრივი საქმიანობა. ისტორიულად კომპანიას არასდროს გაუყიდია თავისი ფინანსური ინსტრუმენტები. წარსული გამოცდილების საფუძველზე ყველა ფინანსური აქტივი არის სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მისაღებად ფლობილი და მიეკუთვნება პირველ ბიზნესის მოდელს - „ფულადი ნაკადების მიღების მიზნით ფლობილი“ (H2C). სავაჭრო და სხვა მოთხოვნებიდან კომპანიის ფულადი ნაკადები აკმაყოფილებენ SPPI ტესტის მოთხოვნებს, რადგან ამ ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით არ არსებობს საპროცენტო განაკვეთები.

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა. კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) აქტივები გამოსყიდულია ან აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღება სხვაგვარად შეწყდება ან (ბ) კომპანიას გადაცემული აქვს ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადებული აქვს საკვალიფიკაციო გამტარი გარიგება, რომლითაც (i) გადაცემულია აგრეთვე აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული ყველა რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა, გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: (ა) სავაჭროდ გამიზნული, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და (ბ) სხვა ფინანსური ვალდებულებები. სავაჭროდ გამიზნული ვალდებულებები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, როდესაც ღირებულების ცვლილება წლის მოგებაში ან ზარალში აღიარდება (როგორიცაა მაგალითად ფინანსური შემოსავალი ან ფინანსური დანახარჯები) მათი წარმოქმნის პერიოდში. სხვა ფინანსური ვალდებულებები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების თავდაპირველი აღიარება. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, მიმატებული გარიგების დანახარჯები. საწყისი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებისას შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც სამართლიანი ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იგივე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები ან შეფასების მეთოდი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას.

ფინანსური აქტივების (რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულირებით ან ბაზრის კონვენციით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები)) გარკვეულ ვადებში შეძენა და გაყიდვა, აისახება ვაჭრობის თარიღით, რაც გახლავთ თარიღი, როდესაც კომპანიამ აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანია გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

ფინანსური და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა. ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება. როდესაც არსებულ ფინანსურ ვალდებულება ჩანაცვლდება მეორე ფინანსური ვალდებულებით იმავე კრედიტორის მიმართ მნიშვნელოვნად შეცვლილი პირობებით, ან თუ მიმდინარე ვალდებულების პირობები არსებითად იცვლება, ამგვარი ცვლილება თუ მოდიფიკაცია აღირიცხება, როგორც თავდაპირველი ვალდებულების აღიარების გაუქმება და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო შესაბამისი საბალანსო ღირებულების სხვაობა აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში.

ფინანსური აქტივები. კომპანიის ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებს და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები – ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს მცირე სალაროში, ბანკებში, ტრანზიტულ ანგარიშებზე და დეპოზიტებზე, რომელთაც გააჩნიათ მყისეულად მოთხოვნის ოფციონი, ღირებულების ცვლილების მნიშვნელოვანი რისკის გარეშე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება – სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. მოკლევადიანი დებიტორული დავალიანება, რომელსაც პროცენტი არ ერიცხება, ნომინალური ღირებულებით აისახება. შეფასებული შეუქცევადი თანხების სათანადო ანარიცხები მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც აქტივის გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება არსებობს. აღიარებული ანარიცხები შეფასდება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული სამომავლო ფულადი ნაკადების თავდაპირველი აღიარებისას განსაზღვრულ, ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირებულ ღირებულებას შორის.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივების გაუფასურება.
კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (ECLs) ყველა სასესხო ინსტრუმენტისთვის ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ეფუძნება სხვაობას ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ფულად ნაკადებსა და კომპანიის მოსალოდნელ ყველა ფულად ნაკადს შორის, და დისკონტირებულია თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. მოსალოდნელ ფულად ნაკადებში შედის ფულადი ნაკადები დასაკუთრებული უზრუნველყოფის საგნიდან ან სხვა საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებებიდან, რომლებიც ხელშეკრულების პირობების განუყოფელი ნაწილია. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი აღიარდება ორ ეტაპად. კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი არ ჰქონია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი განისაზღვრება დეფოლტის მოვლენებით გამოწვეული საკრედიტო ზარალისთვის, რაც შესაძლებელია მომდევნო 12 თვის განმავლობაში (12 თვეში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი) კრედიტის ოდენობისთვის, რომელთან მიმართებაშიც თავდაპირველი აღიარების შემდეგ ადგილი ჰქონდა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, მოთხოვნილია ზარალის რეზერვი საკრედიტო ზარალისთვის, რომელიც მოსალოდნელია დარჩენილ ვადაზე, გადაუხდელობის ვადის მიუხედავად (არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი).

ჯგუფურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს იყენებს. ამგვარად, კომპანია არ ახორციელებს საკრედიტო რისკის ცვლილების მონიტორინგს. სანაცვლოდ, ის ზარალის ანარიცხს აღიარებს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე თითოეული საანგარიშგებო თარიღით. კომპანიას ისტორიული საკრედიტო ზარალის საფუძველზე შექმნილი აქვს ანარიცხის მატრიცა, რომელიც კორექტირდება მოვალისა და ეკონომიკური გარემოსთვის სპეციფიკური სამომავლო ფაქტორებისთვის. ჯგუფურად ფასდება სავაჭრო მოთხოვნები საწვავის გაყიდვიდან.

ინდივიდუალურად შეფასებული სავაჭრო მოთხოვნებისთვის კომპანია აფასებს დეფოლტის პარამეტრის მარგინალური ალბათობის რისკის პარამეტრებს, რისკს დეფოლტის პარამეტრისთვის და ზარალს დეფოლტის პარამეტრის გათვალისწინებით. როდესაც შეუძლებელია ბენჩმარკინგის მიდგომის გამოყენება, კომპანია მოსალოდნელი ზარალის გამოსათვლელად იყენებს რისკის პარამეტრების კოლექტიურ შეფასებას. ბენჩმარკინგის მიდგომის გამოყენების მიზნისთვის ერთ-ერთი ძირითადი მონაცემია გარე რეიტინგების მოპოვება კონტრაჰენტის ფინანსური კოეფიციენტების ანალიზის მეშვეობით. კომპანია გარე რეიტინგების ხელმისაწვდომობას იკვლევს ღია წყაროების მეშვეობით, მათ შორის საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტოების - Moody's, Fitch და S&P - ვებგვერდების მეშვეობით. როდესაც გარე რეიტინგი ხელმისაწვდომი არ არის, კომპანია კონტრაჰენტის ფინანსურ ანგარიშგებას მოიპოვებს და ბენჩმარკინგს განსაზღვრავს ფინანსური კოეფიციენტების საფუძველზე, Moody's-ს ფინანსური კოეფიციენტების კვლევის გამოყენებით.

ხელმძღვანელობამ ასევე დაასკვნა, რომ დანახარჯებისა და ძალისხმევის გაწევა იქნებოდა საჭირო თავდაპირველი აღიარების თარიღებით თითოეული სესხის საკრედიტო რისკის განსაზღვრისთვის. კომპანიამ განსაზღვრა არსებობის მანძილზე სრული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, ანუ არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც განპირობებულია დეფოლტის ყველა შესაძლო მოვლენით ფინანსური ინსტრუმენტის არსებობის მთლიანი ვადის განმავლობაში (მითითებულია, როგორც მე-2 და მე-3 ეტაპები). გაცემული სესხები მე-2 ეტაპზეა მიკუთვნებული. დეფოლტის ალბათობის შეფასების მეთოდისთვის კომპანია სარეიტინგო სააგენტოების მიერ მომზადებულ ისტორიულ დეფოლტის ალბათობებს იყენებს. კომპანია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხას გამოითვლის ექსპერტული განსჯის გამოყენების მეშვეობით, განსაზღვრული ზარალის განაკვეთების გამოყენებით. მიჩნეულ იქნა, რომ

ექსპერტული განსჯის გამოყენება შესაფერისია იმის გამო, რომ არ არსებობს ისტორიული ინფორმაცია, რაც ანარიცხის მატრიცის შექმნის საშუალებას მოგვცემდა. გაუფასურების განაკვეთები მრავლდება მოცემული პერიოდის შესაბამისი დებიტორული დავალიანების ნაშთებზე და გამოითვლება თანხა, რომელიც ამოუღებადად არის მიჩნეული.
ნებისმიერ შემთხვევაში, კომპანიას მიაჩნია, რომ საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები 30 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული.
კომპანია ფინანსურ აქტივს დეფოლტად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდა 90 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. თუმცა, გაკრვეულ შემთხვევებში კომპანიამ შეიძლება ასევე მიიჩნიოს, რომ ესა თუ ის ფინანსური აქტივი დეფოლტია, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიუთითებს, რომ ნაკლებად სავარაუდოა, რომ კომპანიამ სრულად მიიღოს ვადაგადაცილებული სახელშეკრულებო თანხები კომპანიის განკარგულებაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების რაიმე საშუალების განხილვამდე.

ამოუღებადი აქტივები ჩამოიწერება დაკავშირებული გაუფასურების ზარალის ანარიცხის საპირისპიროდ მას შემდეგ, რაც განხორციელდება ყველა აუცილებელი პროცედურა აქტივის ამოსაღებად და განისაზღვრება ზარალის ოდენობა. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომ ამოღება გაუფასურების ზარალის ანგარიშზე დაკრედიტდება წლის მოგება-ზარალში.

საიჯარო ვალდებულებები - იჯარისგან წარმოქმნილი ვალდებულებები თავდაპირველად ფასდება დღევანდელი ღირებულების საფუძველზე. საიჯარო ვალდებულებები მოიცავს იჯარის ფიქსირებული გადახდების (მათ შორის არსებითად ფიქსირებული საიჯარო გადასახდელები) წმინდა დღევანდელ ღირებულებას, შემცირებულს იჯარის წამახალისებელი გადახდების მოთხოვნით.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ეს განაკვეთი დროულად ვერ განისაზღვრება, რაც კომპანიის იჯარებთან დაკავშირებით ხშირად ხდება, გამოიყენება კომპანიის ზღვრული სასესხო განაკვეთი, რომელიც ის განაკვეთია, რაც კომპანიას უნდა გადაეხადა იმისათვის, რათა ესესხებინა თანხები, რომლებიც აუცილებელია იმ აქტივის მოსაპოვებლად, რომელსაც გააჩნია იგივე ღირებულება, რაც საჭიროა აქტივს გამოყენების უფლების მისაღებად, იმავე ეკონომიკურ გარემოში, იმავე პირობებით, უზრუნველყოფით და მდგომარეობით.

იჯარის გადახდები განაწილდება ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები აისახება მოგებაში ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ იწარმოებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

მუდმივი პერიოდული განაკვეთის განსასაზღვრად კომპანია იყენებს ბოლო დროინდელ მესამე მხარეების დაფინანსების განაკვეთს, რომელიც საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ არის გამოქვეყნებული.

გაგრძელების შესაძლებლობები შეყვანილია კომპანიის იჯარებში, თუ ეს გამოყენებადია. ეს პირობები გამოიყენება კომპანიის ოპერაციებში გამოყენებული აქტივების მართვასთან დაკავშირებით საოპერაციო მოქნილობის მაქსიმალურად გაზრდისთვის. გაგრძელების შესაძლებლობებით სარგებლობის უფლება მხოლოდ კომპანიას აქვს და არა შესაბამის მეიჯარეს. გაგრძელების შესაძლებლობა შესულია იჯარის პირობებში მხოლოდ მაშინ, თუ არსებობს გონივრული მტკიცებულება იმისა, რომ იჯარა გაგრძელდება. იჯარის გადახდები, რომლებიც უნდა განხორციელდეს გონივრულად განსაზღვრული გაგრძელების ოფციონის ფარგლებში, ასევე შეტანილია ვალდებულების შეფასებაში.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება ძირითადი საშუალებების მოკლევადიან იჯარასთან, წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯის სახით აღიარდება მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომელთა ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

ფინანსური ვალდებულებები. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა დავალიანებებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები აღიარდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

ურთიერთგადაფარვა. ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგადაიფარება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან

ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. შემოსავლისა და ხარჯების მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ურთიერთგადაფარვა არ ხდება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს მოითხოვება ან ნებადართულია ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტით ან ინტერპრეტაციით, რის შესახებ ინფორმაციის სპეციალურად გამჟღავნდება კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკაში.

პირობითი აქტივები და ვალდებულებები – პირობითი ვალდებულებები არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ისინი ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში გამჟღავნდება, როდესაც ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალია. პირობითი აქტივი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, მაგრამ ინფორმაცია გამჟღავნებულია ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მიღება.

წილობრივი ინსტრუმენტები. წილობრივი ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოადგენს საწარმოს აქტივებში, ვალდებულებების გამოქვითვის შემდეგ, ნარჩენი წილის მტკიცებულებას. მშობელი საწარმოს შენატანი კომპანიის მიერ მიღებული შენატანის სამართლიანი ღირებულებით აღიარდება.

კაპიტალში განხორციელებული შენატანი – კაპიტალში განხორციელებული შენატანი კომპანიის მიერ მიღებული შენატანის სამართლიანი ღირებულებით აღიარდება.

დივიდენდები – დივიდენდები საკუთარ კაპიტალში აღიარდება, როგორც იმ პერიოდის კაპიტალის შემცირება, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები. დივიდენდები, რომლებიც გამოცხადებულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ, განიხილება, როგორც შემდეგი მოვლენა და შესაბამისად აისახება განმარტებით შენიშვნებში.

ვალის ან საკუთარი კაპიტალის სახით კლასიფიკაცია – კომპანიის მიერ გამოშვებული სავალო და წილობრივი ინსტრუმენტები კლასიფიცირებულია ფინანსურ ვალდებულებებად ან საკუთარ კაპიტალად, სახელშეკრულებო შეთანხმებების არსისა და ფინანსური ვალდებულებისა და წილობრივი ინსტრუმენტის განმარტებების შესაბამისად.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები. ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. როდესაც ზეგავლენა არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება მოსალოდნელი სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგვრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს, საჭიროების შემთხვევაში.

მომუშავეთა გასამრჯელოები - კომპანიის თანამშრომლების მიერ მომსახურების გაწევის წელს მათთვის გადახდილი ხელფასი, სარგო, ანაზღაურებადი შვებულება და ბიულეტენი, ბონუსები და არაფულადი სარგებელი (როგორიცაა მაგალითად ჯანდაცვის მომსახურება და საბავშვო ბაღის მომსახურება) დაირიცხება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა დაკავშირებული მომსახურების გაწევა. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული დადგენილშენატანიანი სქემის გადახდებისა.

ცვლილება წარდგენაში- წლის განმავლობაში, კომპანიამ მოახდინა ფინანსურ ანგარიშგებაში ფინანსური მუხლების კლასიფიკაციის ცვლილება. კომპანიას სჯერა, რომ ეს ცვლილება უზრუნველყოფს საიმედო და უფრო შესაფერის ინფორმაციას. ასს 8-ის შესაბამისად, ცვლილება რეტროსპექტულად განხორციელდა და შესადარისი რიცხვები შესაბამისად გადაანგარიშდა. გავლენა შესადარის რიცხვებზე არ არის არსებითი, განხორციელდა მენეჯმენტის მიერ მიმდინარე პერიოდის თანხებთან შესადარისობის გასაუმჯობესებლად.

რეკლასიფიკაციის ეფექტი წარდგენის მიზნებისათვის 2021 წლის 31 დეკემბრისათვის შემდეგია:

	თავდაპირველი წარდგენა	შესწორება	შესწორებული
სავაჭრო და სხვა ვალდებულება	4,117	(1,447)	2,670
საიჯარო ვალდებულებები	1,286	1,477	2,733

ცვლილებების შეტანა ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ. ფინანსურ ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ ცვლილებების შეტანა უნდა დაამტკიცოს კომპანიის ხელმძღვანელობამ, ვინც დაამტკიცა ეს ფინანსური ანგარიშგება.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

მე-3 შენიშვნაში აღწერილი კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას დირექტორებს მოეთხოვებათ განსჯის, შეფასებებისა და დაშვებების გამოყენება იმ აქტივებისა და ვალდებულებების მიმართ, რომელთა ღირებულება გარკვევით ვერ მიიღება სხვა წყაროებიდან. შეფასებები და დაკავშირებული დაშვებები ემყარება წარსულ გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, რომლებიც მიიჩნევა, რომ შესაფერისია. ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისგან.

აღნიშნული შეფასებებისა და საბაზისო დაშვებების შესწორება მუდმივად ხდება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები აღიარდება იმ პერიოდში, როდესაც შესწორდა შეფასება, თუ ცვლილება გავლენას ახდენს მხოლოდ იმ პერიოდზე ან შესწორების პერიოდსა და სამომავლო პერიოდებში, თუ ცვლილება გავლენას ახდენს როგორც მიმდინარე, ისე სამომავლო პერიოდებზე.

შეფასების განუსაზღვრელობის ძირითადი წყაროები

<u>დაკავშირებულ მხარეებთან ოპერაციების საწყისი აღიარება</u> - ჩვეულებრივი საქმიანობისას კომპანია ახორციელებს ოპერაციებს თავის დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9-ის მიხედვით მოითხოვება ფინანსური ინსტრუმენტების საწყისი აღიარება მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. როდესაც არ არსებობს აქტიური ბაზარი მსგავსი ოპერაციებისათვის, განსჯა გამოიყენება იმის განსაზღვრისათვის, გარიგებები საბაზრო საპროცენტო განაკვეთებით ხორციელდება თუ არასაბაზრო განაკვეთებით. განსჯა ეფუძნება არადაკავშირებულ მხარეებთან მსგავსი ტიპის ოპერაციების ფასებისა და ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ანალიზს.

<u>დაბეგვრა</u> - ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის ღიად რჩება მომდევნო სამი კალენდარული წლის განმავლობაში.

<u>ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადა</u> - ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა ხელმძღვანელობის მიერ განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. აქტივების სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ძირითადად გამოყენებისას მოიხმარება. თუმცა, სხვა ფაქტორები, როგორიცაა ტექნიკური ან კომერციული მოძველება და ცვეთა, ხშირად იწვევს აქტივებში განსახიერებული ეკონომიკური სარგებლის შემცირებას. ხელმძღვანელობა აფასებს დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადას აქტივის მიმდინარე ტექნიკური მდგომარეობის და შეფასების იმ პერიოდის მიხედვით, რომელშიც აქტივებისგან კომპანიისთვის სარგებლის მოტანა არის მოსალოდნელი. გასათვალისწინებელია შემდგომი პირველადი ფაქტორები: (ა) აქტივების მოსალოდნელი გამოყენება (ბ) მოსალოდნელი ცვეთა/გაფუჭება, რაც დამოკიდებულია საოპერაციო ფაქტორებზე და ექსპლუატაციის პროგრამაზე; და (გ) ტექნიკური თუ კომერციული მოძველება.

დადგენილი სასარგებლო მომსახურების ვადები 10%-ით რომ განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის მიერ გაკეთებული დაშვებებისგან, 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის გაუფასურებაზე გავლენა

იქნებოდა მისი 80 ათასი ლარით ზრდა ან 65 ათასი ლარით შემცირება (2021 წ.: 54 ათასი ლარით ზრდა ან 44 ათასი ლარით შემცირება).

იჯარის ვადის ხანგრძლივობა - იჯარის ვადის ხანგრძლივობის განსაზღვრისას ხელმძღვანელობა ყველა ფაქტსა და გარემოებას ითვალისწინებს, რომელიც ეკონომიკურ სტიმულს წარმოქმნის გაგრძელების ოფციონის შესაქმნელად. გაგრძელების ოფციონები მხოლოდ იმ იჯარის პირობებში აისახება, რომლებიც გონივრულად სარწმუნოა, რომ გაგრძელდება (ან არ შეწყდება).

საზოგადოდ, იჯარით აღებული შენობა-ნაგებობებისთვის ყველაზე შესაფერისია შემდეგი ფაქტორები:
- ჯარიმები არ არსებობს შეწყვეტაზე (ან გაგრძელებაზე), საზოგადოდ, კომპანია სათანადოდ დარწმუნებულია, რომ იჯარის ვადას გააგრძელებს (ან იჯარას არ შეწყვეტს).
- თუ მოსალოდნელია, რომ იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებებს მნიშვნელოვანი დარჩენილი ღირებულება ექნება, საზოგადოდ, კომპანია სათანადოდ დარწმუნებულია, რომ გააგრძელებს (არ შეწყვეტს) იჯარას.

ამასთან, კომპანია სხვა ფაქტორებსაც ითვალისწინებს, მათ შორის იჯარის ვადის ისტორიული ხანგრძლივობა და საიჯარო აქტივის ჩანაცვლებისთვის საჭირო დანახარჯები.

5. ახალი ან გადასინჯული სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების მიღება

შემდეგი შესწორებული სტანდარტები ძალაში შევიდა 2022 წლის 1 იანვრიდან, მაგრამ მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

შემოსულობები განზრახვისამებრ მოხმარებამდე, წამგებიანი ხელშეკრულებები - ხელშეკრულების შესრულების ხარჯი, მითითება კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე- ასს 16, ასს 37 და ფასს 3 -ის ვიწრო მოქმედების სფეროს შესწორებები და ფასს 2018-2020 წლის წლიური გაუმჯობესებები- ფასს 1, ფასს 9, ფასს 16 და ასს 41 -ის შესწორებები (გამოცემულია 2020 წლის 14 მაისს და ძალაშია 2022 წლის 1 იანვარს ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის).

- საწარმოს მიერ აქტივის სავარაუდო მოხმარებისთვის მომზადებისას წარმოებული მუხლის გაყიდვიდან მიღებული შემოსულობის გამოქვითვას. მსგავსი მუხლების გაყიდვიდან მიღებული შემოსულობები, მათი წარმოების ხარჯებთან ერთად, ახლა აღიარდება მოგება-ზარალში. საწარმო გამოიყენებს ბასს 2-ს ამ მუხლების ღირებულების შესაფასებლად. ღირებულება არ მოიცავს შემოწმების პროცესში მყოფი აქტივის ცვეთას, იმიტომ, რომ ის ჯერ მზად არ არის მისი სავარაუდო მოხმარებისთვის. ბასს 16-ის შესწორება ასევე განმარტავს, რომ საწარმო ახორციელებს იმის შემოწმებას „ფუნქციონირებს თუ არა აქტივი სათანადოდ“ მაშინ, როდესაც ის აფასებს აქტივის ტექნიკურ თუ ფიზიკურ წარმადობას. აქტივის ფინანსური წარმადობა ამ შეფასების რელევანტური არ არის. ამგვარად, აქტივს შეუძლია ხელმძღვანელობის განზრახვის შესაბამისად ფუნქციონირება და ექვემდებარება ცვეთას სანამ არ მიაღწევს ხელმძღვანელობის მიერ განზრახულ საოპერაციო წარმადობას.
- ბასს 37-ის შესწორებები განმარტავს „ხელშეკრულების შესრულების ხარჯების“ მნიშვნელობას. შესწორება განმარტავს, რომ ხელშეკრულების შესრულების პირდაპირი ხარჯები შედგება ამ ხელშეკრულების შესრულების დანახარჯებისაგან და იმ ხარჯების განაწილებისგან, რომელიც პირდაპირ კავშირშია შესრულებასთან. შესწორება ასევე განმარტავს, რომ სანამ წამგებიანი ხელშეკრულების ცალკე ანარიცხი შეიქმნება, საწარმო აღიარებს ხელშეკრულების შესრულებისთვის გამოყენებული აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალს, რომელსაც ადგილი ჰქონდა, ნაცვლად იმ აქტივებისა, რომლებიც ხელშეკრულებისთვის არის განკუთვნილი.
- ფასს 3-ში შევიდა შესწორებები, რომლებიც მიუთითებს 2018 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე იმისათვის, რომ განისაზღვროს, თუ რას წარმოადგენს აქტივი საწარმოთა გაერთიანებისას. შესწორების შეტანამდე, ფასს 3 მიუთითებდა 2001 წლის ფინანსური ანგარიშგების კონცეპტუალურ სტრუქტურულ საფუძვლებზე. დამატებით, ფასს 3-ის ახალი გამონაკლისი დაემატა ვალდებულებებს და პირობით ვალდებულებებს. გამონაკლისი მიუთითებს, რომ გარკვეული ტიპის ვალდებულებების და პირობითი ვალდებულებებისთვის, საწარმომ, ფასს 3 -ის გამოყენების ნაცვლად ბასს 37 ან ფასიკ 21 უნდა გამოიყენოს, ვიდრე 2018 წლის კონცეპტუალური სტრუქტურული საფუძვლები. ამ ახალი გამონაკლისის გარეშე, საწარმოს გარკვეული ვალდებულებები საწარმოთა გაერთიანებისას უნდა ეღიარებინა, რასაც ბასს 37-ის მიხედვით, არ აღიარებდა. ამგვარად, დაუყოვნებლივ, შესყიდვის შემდეგ, საწარმოს მოუწევდა მსგავსი ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა

და ისეთი შემოსულობის აღიარება, რომელმაც არ გამოკვეთა ეკონომიკური სარგებელი. ასევე განმარტებულია, რომ შემსყიდველმა არ უნდა აღიაროს პირობითი აქტივი შესყიდვის თარიღით, როგორც ეს განსაზღვრულია ბასს 37-ით.

- ფასს 9-ს შესწორება განმარტავს, თუ რომელი საზღაური უნდა იყოს შეყვანილი ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის 10%-იან ტესტში. დანახარჯები ან საზღაური შესაძლებელია გადახდილი იყოს ან მესამე მხარეებისთვის ან გამსესხებლისთვის. შესწორების მიხედვით, ის დანახარჯები და საზღაური, რომელიც გადახდილია მესამე მხარეებისთვის არ შევა 10%-იან ტესტში.
- საილუსტრაციო მაგალითი 13, რომელიც მოყვება ფასს 16-ს, შესწორდა, რათა მეიჯარის მიერ გადახდების ილუსტრაცია, რომელიც უკავშირდება საიჯარო გაუმჯობესებებს, იყოს ამოღებული. შესწორების მიზეზი საიჯარო წამახალისებლებთან დაკავშირებული ნებისმიერი პოტენციური გაუგებრობის აღმოფხვრაა.
- ფასს 1-ით დაშვებულია გამონაკლისი, როდესაც შვილობილი საწარმო ფასს-ებს უფრო გვიანი თარიღით მიიღებს, ვიდრე მშობელი საწარმო. შვილობილ საწარმოს შეუძლია მისი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებით შეფასება, რაც შესული იქნებოდა მისი მშობელი საწარმოს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე, თუ კონსოლიდაციის პროცედურებისთვის და საწარმოთა გაერთიანების იმ შედეგებისთვის, რომელშიც მშობელმა შეიძინა შვილობილი საწარმო, არ შესულა შესწორებები. ფასს 1-ში შევიდა შესწორებები, რათა მიეცეს ფასს 1-ის შეღავათით მოსარგებლე საწარმოებს იმის უფლება, რომ დაგროვილი საკურსო სხვაობებიც შეაფასოს მშობელი საწარმოს მიერ ანგარიშგებული თანხების გამოყენებით, მშობელი საწარმოს ფასს-ებზე გადასვლის თარიღის საფუძველზე. ფასს 1-ის შესწორებები აფართოებს ზემოთ აღნიშნულ შეღავათს დაგროვილ საკურსო სხვაობებზე პირველად სტანდარტების მიმღები საწარმოებისთვის ხარჯების შესამცირებლად. ეს შესწორება ასევე ეხება იმ მეკავშირე და ერთობლივ კონტროლს დაქვემდებარებულს საწარმოებს, რომლებმაც ისარგებლეს იმავე ფასს 1-ის შეღავათით.
- მოთხოვნა, რომ საწარმოებმა ბასს 41-ის მიხედვით სამართლიანი ღირებულების შეფასებისას ამოიღონ დაბეგვრისთვის განსაზღვრული ფულადი ნაკადები, გაუქმებულია. ეს შესწორება მიზნად ისახავს სტანდარტში მოცემულ იმ მოთხოვნასთან შესაბამისობის უზრუნველყოფას, რომელიც გულისხმობს ფულადი ნაკადების დისკონტირების დაბეგვრის შემდგომ საფუძველზე განხორციელებას.

აღნიშნული ცვლილებების გამოყენებას მნიშვნელოვანი ზეგავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

6. საბუღალტრო აღრიცხვასთან დაკავშირებული სიახლეები

გამოცემულია ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომელთა მიღება სავალდებულოა 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგომ პერიოდებში და რომლებიც კომპანიას ნაადრევად არ გამოუყენებია.

ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვა ან შეტანა - ცვლილებები ფასს 10-ში და ბასს 28-ში (გამოცემულია 2014 წლის 11 სექტემბერს, ძალაში შედის ბასს-ის მიერ დადგენილი თარიღით ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის).

ეს ცვლილებები ეხება ფასს 10-ისა და ბასს 28-ის მოთხოვნებს შორის შეუსაბამობას ინვესტორსა და მის მეკავშირე საწარმოს ან ერთობლივ საქმიანობას შორის აქტივების გაყიდვასთან ან შეტანასთან დაკავშირებით. ამ ცვლილებების ძირითადი შედეგია სრული შემოსავლის ან ზარალის აღიარება, როდესაც ოპერაცია ეხება აქტივებს, რომელიც ბიზნესს წარმოადგენს. ნაწილობრივი შემოსულობა ან ზარალი აღიარდება მაშინ, როდესაც გარიგება მოიცავს აქტივებს, რომლებიც არ წარმოადგენენ ბიზნესს თუნდაც ამ აქტივებს შვილობილი საწარმო ფლობდეს.

ფასს 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“ - (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისათვის. ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება, არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო

ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას, სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებაა) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია); (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიას ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, საწარმო ზარალს მაშინვე აღიარებს.

შესწორებები ფასს 17-სთვის და შესწორება ფასს 4-სთვის (გამოცემულია 2020 წლის 25 ივნისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ წლიური პერიოდებისთვის). შესწორებები მოიცავს მთელ რიგ განმარტებებს ფასს 17-ის დანერგვის გასაადვილებლად , ამარტივებს სტანდარტისა და გადასვლის მოთხოვნების ნაწილს. შესწორებები ეხება ფასს 17-ის 8 სფეროს და ისინი არაა გამიზნული სტანდარტის ფუნდამენტური პრინციპების შესაცვლელად. განხორციელებულია მომდევნო შესწორებები ფასს 17-სვის:

- *ძალაში შესვლის თარიღი:* ფასს 17-ის ძალაში შესვლის თარიღი (ცვლილებების ჩათვლით) გადავადებულია ორი წლით, იმ ყოველწლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ; და ფასს 4-ში ფასს 9-ის გამოყენების დროებითი გათავისუფლების ვადის გასვლის თარიღი ასევე გადავადებულია წლიური საანგარიშო პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ.

- დაზღვევის შემენისთვის ფულადი ნაკადების მოსალოდნელი ანაზღაურება: საწარმოს მოეთხოვება შესყიდვის ხარჯების ნაწილის გამოყოფა ხელშეკრულების მოსალოდნელ განახლებასთან დაკავშირებით და ამ ხარჯების, როგორც აქტივის, აღიარება, სანამ საწარმო არ აღიარებს ხელშეკრულების განახლებას. საწარმოებს მოეთხოვებათ შეაფასონ აქტივის ამოღებადობა ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის და ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში წარადგინონ აქტივის შესახებ კონკრეტული ინფორმაცია.

- სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა, რომელიც მიკუთვნებადია საინვესტიციო მომსახურებებზე: დაფარვის ერთეულები უნდა განისაზღვროს, როგორც სარგებლის რაოდენობის გათვალისწინებით, ასევე დაზღვევის დაფარვისა და საინვესტიციო მომსახურების სავარაუდო პერიოდის გათვალისწინებით, ცვალებადი საზღაურის მიდგომის საფუძველზე სხვა ხელშეკრულებებისა და „ინვესტიციის დაბრუნების მომსახურების" ზოგადი მოდელის მიხედვით. საინვესტიციო საქმიანობასთან დაკავშირებული ხარჯები უნდა შედიოდეს სადაზღვევო ხელშეკრულების ფარგლებში იქამდე, სანამ საწარმო ახორციელებს ისეთ საქმიანობას, რომელიც პოლისის მფლობელისთვის, დაზღვევის დაფარვიდან გამომდინარე, გაზრდის მის სარგებელს.

- ხელახალი დაზღვევის გაფორმებული ხელშეკრულებები - ზარალის ანაზღაურება: როდესაც საწარმო აღიარებს ზარალს ძირითადი სადაზღვევო ხელშეკრულებების პირველად აღიარების ან კომპანიისთვის წამგებიანი საბაზისო სადაზღვევო ხელშეკრულებების დამატების შედეგად, საწარმომ უნდა დააკორექტიროს დაკავშირებული კომპანიის სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა. ანაზღაურებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებისა და აღიარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებების შემოსულობა. ჩატარებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან მიღებული ზარალის ოდენობა განისაზღვრება ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე აღიარებული ზარალის და სადაზღვევო ხელშეკრულებებზე მოთხოვნების პროცენტული მაჩვენებლის გამრავლებით, რომელთა ანაზღაურებას საწარმო მოელის ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებიდან. ეს მოთხოვნა ვრცელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებული ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულება აღიარებულია ძირითად სადაზღვევო ხელშეკრულებებზე ზარალის აღიარებამდე ან ამავე დროს.

- სხვა შესწორებები: სხვა შესწორებები მოიცავს ზოგიერთი საკრედიტო ბარათის (ან მსგავსის) ხელშეკრულებების და ზოგიერთი სასესხო ხელშეკრულებების სფეროს გამორიცხვას; სადაზღვევო ხელშეკრულების აქტივებისა და ვალდებულებების წარდგენას ჯგუფების ნაცვლად პორტფელში; ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. რისკის შემცირების შესაძლებლობის გამოყენებას იმ ფინანსური რისკების შერბილებისას, რომელიც იყენებს არსებულ ხელახალი დაზღვევის ხელშეკრულებებს და არაწარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით; ბუღალტრული პოლიტიკის არჩევანს წინა შუალედურ ფინანსურ ანგარიშგებაში ფასს 17-ის გამოყენებისას გაკეთებული შეფასებების შესაცვლელად; საშემოსავლო

გადასახადის გადახდებისა და ქვითრების ჩართვას, რომლებიც დაზღვევის მფლობელს კონკრეტულად ეკისრება სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებით, დაკვეთის შესრულების ფულად ნაკადებში, შერჩეული გარდამავალი შეღავათები და სხვა მცირე შესწორებები.

ბასს 1-ში და ფასს-ის პრაქტიკულ დებულება 2-ში განხორციელებული ცვლილებები: სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 1-ში შეტანილია ცვლილებები, რათა კომპანიებს მოეთხოვოთ განმარტონ თავიანთი არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცია და არა მათი მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა. შესწორებით გათვალისწინებული იქნა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის განსაზღვრება. შესწორებით ასევე განმარტეს, რომ სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია, სავარაუდოდ, არსებითი იქნება, თუ მის გარეშე, ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლებს არ შეეძლებათ გაეცნონ ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულ სხვა არსებით ინფორმაციას. შესწორებამ წარმოადგინა სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაციის საილუსტრაციო მაგალითები, რომლებიც, სავარაუდოდ, არსებითად ჩაითვლება საწარმოს ფინანსური ანგარიშგებისათვის. გარდა ამისა, ბასს 1-ში შესწორებით დაზუსტდა, რომ არაარსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ ინფორმაცის გამჟღავნება საჭირო არ არის. ამასთან, თუ იგი გამჟღავნდა, ეს არ უნდა ფარავდეს არსებით ინფორმაციას სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ. ამ შესწორების მხარდასაჭერად, ფასს - ის პრაქტიკული დებულება 2, „არსებითობის განსჯის განხორციელება“ ასევე შეიცვალა, რათა უზრუნველყოფილი ყოფილიყო სახელმძღვანელო მითითებები, თუ როგორ უნდა გამოყენებულიყო არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის გამჟღავნებისას.

ბასს 8-ში შესწორებები: სააღრიცხვო შეფასებების განმარტება (გამოცემულია 2021 წლის 12 თებერვალს და მოქმედებს წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ). ბასს 8-ის დამატებითმა შესწორებამ განმარტა, თუ როგორ უნდა განასხვაონ კომპანიებმა სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებისაგან.

გადავადებული გადასახადი, რომელიც დაკავშირებულია ერთი გარიგებიდან წარმოქმნილ აქტივებთან და ვალდებულებებთან- შესწორებები ბასს 12-სთვის (გამოცემულია 2021 წლის 7 მაისს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდგომ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ბასს 12-ში შეტანილი ცვლილებები განსაზღვრავს, თუ როგორ უნდა მოხდეს გადავადებული გადასახადის აღრიცხვა ისეთ ოპერაციებზე, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციიდან ამოღების ვალდებულებები. განსაზღვრულ გარემოებებში, საწარმოები თავისუფლდებიან გადავადებული გადასახადის აღიარებისგან, როდესაც ისინი პირველად აღიარებენ აქტივებს ან ვალდებულებებს. მანამდე არსებობდა გაურკვევლობა იმის თაობაზე, ეხებოდა თუ არა შეღავათი ისეთ გარიგებებს, როგორიცაა საიჯარო და ექსპლუატაციის გაუქმების ვალდებულებები - ოპერაციები, რომელთათვისაც აღიარებულია როგორც აქტივი, ისე ვალდებულება. ცვლილებების თანახმად, შეღავათი არ მოქმედებს და საწარმოები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ამ ოპერაციებზე. ცვლილებების თანახმად, კომპანიები ვალდებულნი არიან აღიარონ გადავადებული გადასახადი ოპერაციებზე, რომლებიც თავდაპირველი აღიარებისას წარმოშობს დასაბეგრი და გამოქვითვადი დროებითი სხვაობების თანაბარ რაოდენობას.

გადასვლის ოფციონი მზღვეველებისთვის, რომლებიც იყენებენ ფასს 17-ს – ცვლილებები ფასს 17-ში (გამოცემულია 2021 წლის 9 დეკემბერს და ძალაშია 2023 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ფასს 17-ის გადასვლის მოთხოვნებში შესწორება მზღვეველებს აძლევს ოფციონს, რომელიც მიზნად ისახავს გაუმჯობესოს ინვესტორებისთვის ინფორმაციის სარგებლიანობა ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენების შესახებ. ცვლილება ეხება მზღვეველების გადასვლას მხოლოდ ფასს 17-ზე და არ მოქმედებს ფასს 17-ის სხვა მოთხოვნებზე. ფასს 17-ისა და ფასს 9-ის გადასვლის მოთხოვნები გამოიყენება სხვადასხვა თარიღზე და გამოიწვევს შემდეგ ერთჯერად კლასიფიკაციის განსხვავებებს ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას წარმოდგენილ შედარებით ინფორმაციაში: მიმდინარე ღირებულებით შეფასებულ სადაზღვევო ხელშეკრულების ვალდებულებებსა და ამორტიზებული ღირებულებით შეფასებულ ნებისმიერ ფინანსურ აქტივს შორის აღრიცხვის შეუსაბამობას; და თუ საწარმო ირჩევს ფასს 9-ისთვის შედარებითი ინფორმაციის გადაანგარიშებას, კლასიფიკაციის განსხვავებები შესადარის პერიოდში აღიარებაშეწყვეტილ ფინანსურ აქტივებს (რომელზეც ფასს 9 არ გამოიყენება) და სხვა ფინანსურ აქტივებს შორის (რომლებზეც ფასს 9 გამოიყენება). ცვლილება დაეხმარება მზღვეველებს თავიდან აიცილონ ეს დროებითი ბუღალტრული შეუსაბამობები და, შესაბამისად, გააუმჯობესონ შესადარისი ინფორმაციის სარგებლიანობა ინვესტორებისთვის. ის ამას ახორციელებს მზღვეველებისთვის ფინანსური აქტივების შესახებ შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის შესაძლებლობის მინიჭებით. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, ერთეულებს, შეადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლის შესახებაც საწარმო არ განაახლებს ფასს

9-ის შედარებით ინფორმაციას. ფასს 17-ის თავდაპირველი გამოყენებისას, საწარმოებს, შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენის მიზნით, მიეცემათ უფლება, გამოიყენონ კლასიფიკაციის გადაფარვა ფინანსურ აქტივზე, რომლისთვისაც საწარმო არ განაახლებს ფასს 9-ის შესადარის ინფორმაციას. გადასვლის ოფციონი ხელმისაწვდომი იქნება ყოველი ინსტრუმენტისთვის ცალცალკე; საწარმოს მიეცემა უფლება, წარმოადგინოს შესადარისი ინფორმაცია, თითქოს ფასს 9-ის კლასიფიკაციისა და შეფასების მოთხოვნები ამ ფინანსურ აქტივზე გამოყენებული იყო, მაგრამ ამ საწარმოს მოეთხოვება, გამოიყენოს ფასს 9-ის გაუფასურების მოთხოვნები; და საწარმოს, რომელიც იყენებს ფინანსურ აქტივზე კლასიფიკაციის გადაფარვას, მოეთხოვება გამოიყენოს გონივრული და დასაბუთებული ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია გადასვლის თარიღისთვის, რათა დადგინდეს, თუ როგორ მოელის საწარმო, ამ ფინანსური აქტივის კლასიფიკაციას, ფასს 9-ის გამოყენებით.

ცვლილებები ფასს 16-ში, იჯარა: საიჯარო ვალდებულება უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებში (გამოცემულია 2022 წლის 22 სექტემბერს და ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის). ეს ცვლილებები დაკავშირებულია უკუიჯარის პირობით გაყიდვის ოპერაციებთან, რომლებიც აკმაყოფილებენ ფასს 15-ში მოცემულ მოთხოვნებს და გაყიდვის სახით უნდა იქნეს აღრიცხულნი. ცვლილებებით მოითხოვება, რომ გამყიდველმა-მოიჯარემ ამ ოპერაციის შედეგად წარმოქმნილი ვალდებულება შემდგომ შეაფასოს იმგვარად, რომ არ აღიაროს მის მიერ შენარჩუნებული გამოყენების უფლებასთან დაკავშირებული რაიმე შემოსულობა ან ზარალი. ეს ნიშნავს მსგავსი შემოსულობის გადავადებას, მაშინაც კი, როდესაც არსებობს ცვალებადი გადახდების განხორციელების მოვალეობა და ის დამოკიდებული არ არის ინდექსზე ან განაკვეთზე.

ვალდებულებების გრძელვადიანად და მოკლევადიანად კლასიფიკაცია, ბასს 1-ის შესწორებები (თავდაპირველად გამოცემული იქნა 2020 წლის 23 იანვარს, შემდეგ ცვლილებები შევიდა 2020 წლის 15 ივლისსა და 2022 წლის 31 ოქტომბერს და საბოლოოდ ძალაში შედის წლიური პერიოდებისთვის, რომლებიც იწყება 2024 წლის 1 იანვარს ან მის შემდეგ). ამ შესწორებებით ირკვევა, რომ ვალდებულებები კლასიფიცირდება როგორც მოკლევადიანი ან გრძელვადიანი, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული უფლებების გათვალისწინებით. ვალდებულებები არ წარმოადგენს მოკლევადიანს, თუ საწარმოს საანგარიშო პერიოდის ბოლოს აქვს არსებითი უფლება გადაავადოს ანგარიშსწორება სულ მცირე თორმეტი თვით. სახელმძღვანელო მითითებები აღარ მოითხოვს მსგავსი უფლების უპირობობას. 2022 წლის ოქტომბრის ცვლილებით დადგინდა, რომ სესხის პირობები, რომლებიც დაცული უნდა იქნეს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ გავლენას არ ახდენს ვალის მოკლევადიანად ან გრძელვადიანად კლასიფიკაციაზე საანგარიშგებო თარიღით. ხელმძღვანელობის მოლოდინი, შემდგომში გამოიყენებს თუ არა ის ანგარიშსწორების გადავადების უფლებას, არ ახდენს გავლენას ვალდებულებების კლასიფიკაციაზე. გადავადების უფლება არსებობს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საწარმო, საანგარიშო პერიოდის ბოლოს, აკმაყოფილებს შესაბამის პირობებს. ვალდებულება კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ საანგარიშო თარიღამდე ან თარიღისთვის რაიმე პირობა დაირღვა და მიუხედავად იმისა, სესხის გამცემისგან ამ პირობაზე უარი მოპოვებული არის თუ არა საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. და პირიქით, სესხი კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი, თუ სასესხო შეთანხმება დაირღვა საანგარიშო პერიოდის შემდეგ. გარდა ამისა, შესწორებები მოიცავს ისეთი ვალის კლასიფიკაციის მოთხოვნების განმარტებას, რომლის ანგარიშსწორებაც კომპანიას მისი საკუთარ კაპიტალად გარდაქმნით შეუძლია. „ანგარიშსწორება“ განისაზღვრება, როგორც ვალის ფულადი სახსრებით, ეკონომიკური სარგებლის შემცველი სხვა რესურსებით, ან საწარმოს საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტებით დაფარვა. არსებობს გამონაკლისი გარდაქმნად ინსტრუმენტებზე, რომლებიც შეიძლება გარდაიქმნას კაპიტალად, თუმცა მხოლოდ იმ ინსტრუმენტებისთვის, სადაც გარდაქმნის შესაძლებლობა კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი, როგორც რთული ფინანსური ინსტრუმენტის ცალკე კომპონენტი.

ზემოთ სხვაგვარად თუ არ არის მითითებული, მოსალოდნელი არ არის, რომ ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენენ კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

7. ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან ამონაგები მოიცავს სხვადასხვა საქონლის საქართველოს მასშტაბით არსებული მაღაზიებისა და ჯიხურების მეშვეობით გაყიდვებს.

ამონაგები აღიარდება დროის მომენტში.

8. გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის გაყიდვებისა და დისტრიბუციის ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2022	2021
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	5,600	3,013
ცვეთა და ამორტიზაცია	1,086	818
შეკეთება და ტექნიკური მომსახურება	209	135
დაზღვევა	79	73
რეკლამა	59	56
სხვა	15	5
	7,048	**4,100**

9. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავდა შემდეგს:

	2022	2021
სახელფასო და მასთან დაკავშირებული ხარჯები	838	836
საკანცელარიო	445	321
საბანკო ხარჯები	304	252
პროფესიული მომსახურება	192	176
გადასახადები და სხვა გადასახდელები	81	47
მივლინების ხარჯები	75	17
იჯარის ხარჯი	74	68
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი, ნეტო	54	23
კომუნიკაციის ხარჯები	35	35
ცვეთა და ამორტიზაცია	26	26
სხვა	13	13
	2,137	**1,814**

10. ძირითადი საშუალებები

	შენობები	ავტომობილები	მანქანები და მოწყობილობები	კომპიუტერები და საოფისე აღჭურვილობა	ავეჯი და მოწყობილობები	სხვა	სულ
ღირებულება							
2020 წ. 31 დეკემბერს	**79**	**88**	**1,007**	**485**	**1,528**	**177**	**3,364**
შეძენა	9	-	485	97	151	36	778
გაყიდვა	-	-	(68)	(26)	(92)	(2)	(188)
2021 წ. 31 დეკემბერს	**88**	**88**	**1,424**	**556**	**1,587**	**211**	**3,954**
შეძენა	14	121	707	285	767	43	1,937
გაყიდვა	(18)	-	(9)	(1)	(7)	-	(35)
2022 წ. 31 დეკემბერს	**84**	**209**	**2,122**	**840**	**2,347**	**254**	**5,856**
დაგროვილი ცვეთა							
2020 წ. 31 დეკემბერს	**(51)**	**(46)**	**(595)**	**(288)**	**(790)**	**(175)**	**(1,945)**
ცვეთის ხარჯი	(20)	(11)	(214)	(70)	(141)	(29)	(485)
რეალიზაციისას გაუქმებული ცვეთა	-	-	60	19	52	2	133
2021 წ. 31 დეკემბერს	**(71)**	**(57)**	**(749)**	**(339)**	**(879)**	**(202)**	**(2,297)**
ცვეთის ხარჯი	(14)	(26)	(263)	(102)	(281)	(30)	(716)
რეალიზაციისას გაუქმებული ცვეთა	10	-	9	1	5	-	25
2022 წ. 31 დეკემბერს	**(75)**	**(83)**	**(1,003)**	**(440)**	**(1,155)**	**(232)**	**(2,988)**
ნეტო საბალანსო ღირებულება							
2022 წ. 31 დეკემბერს	**9**	**126**	**1,119**	**400**	**1,192**	**22**	**2,868**
2021 წ. 31 დეკემბერს	**17**	**31**	**675**	**217**	**708**	**9**	**1,657**

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სრულად გაცვეთილი აქტივების ღირებულება იყო 1,277 ათასი ლარი და 1,079 ათასი ლარი, შესაბამისად. კომპანიას არა აქვს გირაოში ჩადებული ძირითადი საშუალებები.

11. აქტივის გამოყენების უფლება

	მაღაზიები	სულ
ღირებულება		
2020 წ. 1 იანვარს	**1,993**	**1,993**
შეძენა	69	69
გაყიდვა	-	-
მოდიფიცირება	-	-
2021 წ. 31 დეკემბერს	**2,062**	**2,062**
შეძენა	406	406
გაყიდვა	-	-
მოდიფიცირება	-	-
2022 წ. 31 დეკემბერს	**2,468**	**2,468**
დაგროვილი ცვეთა		
2020 წ. 1 იანვარს	**651**	**651**
წლის ხარჯი	339	339
რეალიზაციისას გაუქმებული	-	-
2021 წ. 31 დეკემბერს	**990**	**990**
წლის ხარჯი	374	374
რეალიზაციისას გაუქმებული		
2022 წ. 31 დეკემბერს	**1,364**	**1,364**
ნეტო საბალანსო ღირებულება		
2022 წ. 31 დეკემბერს	**1,104**	**1,104**
2021 წ. 31 დეკემბერს	**1,072**	**1,072**

საიჯარო ვალდებულებების ცვლილებები:

	2022	2021
საიჯარო ვალდებულებები 1 იანვარს	2,733	2,954
საიჯარო ვალდებულებების აღიარება	406	69
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	132	183
სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში გადატანა	(299)	(473)
საიჯარო ვალდებულებები 31 დეკემბერს	**2,972**	**2,733**

აქტივის გამოყენების უფლების საშუალო შეწონილი იჯარის ვადაა 4 წელი, ხოლო საიჯარო ვალდებულებებისთვის გამოყენებული მოიჯარის საშუალო შეწონილი ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი არის 12%.

მოგება-ზარალში აღიარებული თანხები	2022	2021
აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა	374	339
საიჯარო ვალდებულებების საპროცენტო ხარჯი	132	182
იმ გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი, რომელიც ასახული არ არის საიჯარო ვალდებულების შეფასებაში	74	68
სულ	**580**	**589**

დაფარვის ვადის ანალიზი 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დაფარვის ვადის ანალიზი	2022 წ. 31 დეკემბერი ფინანსური იჯარის ფარგლებში გადასახდელი თანხები	სამომავლო ფინანსური ხარჯები
წელი 1	2,287	122
წელი 2	600	64
წელი 3	151	28
წელი 4	118	16
წელი 5	50	4
სულ საიჯარო ვალდებულება	**3,206**	**234**

დაფარვის ვადის ანალიზი	2021 წ. 31 დეკემბერი ფინანსური იჯარის ფარგლებში გადასახდელი თანხები	სამომავლო ფინანსური ხარჯები
წელი 1	1,945	113
წელი 2	426	55
წელი 3	361	36
წელი 4	209	12
წელი 5	9	1
სულ საიჯარო ვალდებულება	**2,950**	**217**

12. მარაგები

მარაგები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
მარაგები მაღაზიებში	6,699	5,099
სათადარიგო ნაწილები და სახარჯი მასალები	757	433
	7,456	**5,532**

13. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	5,017	3,951
სხვა მოთხოვნები	10	10
	5,027	3,961
საეჭვო ვალის ანარიცხები	(75)	(48)
სულ სავაჭრო მოთხოვნები, ნეტო	**4,952**	**3,913**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილება:

	2022	2021
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბერს	**48**	**21**
გაუფასურების ხარჯი	27	27
წლის განმავლობაში გაუფასურების ანარიცხის აღდგენა	-	-
გაუფასურების ანარიცხი 31 დეკემბერს	**75**	**48**

სავაჭრო მოთხოვნების დაფარვის ვადის ანალიზი:

2022 წ. 31 დეკემბერი (ლარი)	არ არის ვადაგადაცილებული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30 - 90 დღე ვადაგადაცილება	- 91 - 180 დღე ვადაგადაცილება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	4,999	4	-	4	10	**5,017**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(65)	(1)	-	(2)	(7)	**(75)**

2021 წ. 31 დეკემბერი (ლარი)	არ არის ვადაგადაცილებული	- 30 დღეზე ნაკლები ვადაგადაცილება	- 30 - 90 დღე ვადაგადაცილება	- 91 - 180 დღე ვადაგადაცილება	- 180 დღეზე მეტი ვადაგადაცილება	სულ
შეფასებული მთლიანი საბალანსო ღირებულება დეფოლტისას	3,892	10	-	-	49	**3,951**
არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(30)	(2)	-	-	(16)	**(48)**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია ინფორმაცია საკრედიტო რისკის დონის შესახებ:

	2022 წ. 31 დეკემბერი		
	ეტაპი 2 არსებობის მანძილზე ECL - კრედიტის გაუფასურების გარეშე	ეტაპი3 არსებობის მანძილზე ECL – გაუფასურებული კრედიტი	სულ
არ არის ვადაგადაცილებული	4,999	-	**4,999**
0-30 დღით ვადაგადაცილებული	4	-	**4**
30-90 დღით ვადაგადაცილებული	-	-	**-**
90-180 დღით ვადაგადაცილებული	-	4	**4**
180> დღით ვადაგადაცილებული	-	10	**10**
სულ	**5,003**	**14**	**5,017**

	2021 წ. 31 დეკემბერი		
	ეტაპი 2 არსებობის მანძილზე ECL - კრედიტის გაუფასურების გარეშე	ეტაპი3 არსებობის მანძილზე ECL – გაუფასურებული კრედიტი	სულ
არ არის ვადაგადაცილებული	3,892	-	**3,892**
0-30 დღით ვადაგადაცილებული	10	-	**10**
30-90 დღით ვადაგადაცილებული	-	-	**-**
90-180 დღით ვადაგადაცილებული	-	-	**-**
180> დღით ვადაგადაცილებული	-	49	**49**
სულ	**3,902**	**49**	**3,951**

14. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
ნაღდი ფული სალაროში	70	36
თანხა ბანკში	1,191	1,857
თანხა ტრანზიტულ ანგარიშებზე	189	73
სულ	**1,450**	**1,966**

15. საწესდებო კაპიტალი

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით 100% ავტორიზებული და სრულად გადახდილი საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 830 ათას ლარს.

კომპანიამ 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის გამოაცხადა და გასცა დივიდენდი 1,500 ათასი ლარის ოდენობით (2021 წ.: 2,000 ათასი ლარი).

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	4,210	2,427
სხვა ვალდებულებები	117	243
	4,327	**2,670**

17. პირობითი ვალდებულებები და მოვალეობები

ვალდებულებები – 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა არსებითი დასაფარი ვალდებულებები.

სასამართლო წარმოება – 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ მონაწილეობდა რაიმე მნიშვნელოვან სასამართლო დავაში.

პირობების დაკმაყოფილება – კომპანიაზე დაკისრებული არ არის პირობები, შესაბამისად, მას არ მოეთხოვება მათი დაკმაყოფილება.

გარანტიები - გარანტია არის შეუქცევადი რწმუნება, რომ კომპანია გადახდას განახორციელებს, თუ სხვა მხარეს არ შეუძლია თავისი მოვალეობების შესრულება. 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ ჰქონდა დასაფარი გარანტიები.

გადასახადები – ქართული საგადასახადო კანონმდებლობა შეიძლება დაექვემდებაროს სხვადასხვა ინტერპრეტაციებს და შეიძლება მან ცვლილებები განიცადოს. ამასთან, საგადასახადო კანონმდებლობის ხელმძღვანელობისეული ინტერპრეტაცია შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისგან, რის გამო კომპანიას შეიძლება დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და პროცენტის თანხა დაეკისროს. კომპანიას დარწმუნებულია, რომ მან უკვე გადაიხადა ყველა გადასახადი, ამიტომ

ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი არ შეუქმნია. 2022 საგადასახადო წელი ღიაა საგადასახადო ორგანოს მიერ ინსპექტირებისთვის.

საქართველოს სატრანსფერო ფასწარმოქმნის კანონმდებლობაში ცვლილებები შევიდა 2014 წლის 1 იანვარს, დამატებითი ანგარიშგებისა და დოკუმენტაციის მომზადების მოთხოვნების შემოსაღებად. ახალი კანონმდებლობით საგადასახადო ორგანოებს დამატებითი საგადასახადო ვალდებულებების დაკისრების უფლება აქვთ გარკვეულ გარიგებებთან მიმართებით, მათ შორის, დაკავშირებულ მხარეებთან გარიგებები, თუ ისინი მიიჩნევენ, რომ გარიგების ფასი არ არის თავისუფალ, მხოლოდ საკუთარი ინტერესის მქონე პირებს შორის გარიგების ფასი.

მსგავსი განუსაზღვრელობა შეიძლება დაკავშირებული იყოს ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებასთან, გაუფასურების ზარალის ანარიცხის შეფასებასთან და გარიგებების საბაზრო ფასებთან. კომპანიის ხელმძღვანელობას სჯერა, რომ სრულად აქვს დარიცხული საგადასახადო თანხა და ამგვარად, ფინანსურ ანგარიშგებაში ანარიცხი შექმნილი არ არის.

გარმოსდაცვითი საკითხები - საქართველოში გარემოსდაცვითი რეგულირების აღსრულება ვითარდება და მთავრობის უფლებემოსილება აღსრულებაზე მუდმივად გადაისინჯება. კომპანია პერიოდულად ახორციელებს თავისი მოვალეობების შეფასებას გარემოსდაცვითი რეგულირების ფარგლებში. მოვალეობების განსაზღვრისთანავე ხდება მათი აღიარება. პოტენციური ვალდებულებების, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან არსებული რეგულირების, სამოქალაქო საქმეზე სასამართლო პროცესის ან კანონმდებლობის ცვლილების შედეგად, შეფასება შეუძლებელია, მაგრამ შეიძლება არსებითი იყოს. არსებულ აღსრულების პირობებში და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით ხელმძღვანელობას სჯერა, რომ არ არსებობს რაიმე მნიშვნელოვანი ვალდებულებები გარემოზე ზიანის მიყენებისათვის.

კლიმატის ცვლილების გათვალისწინება - კომპანიის ხელმძღვანელობამ ყურადღება გაამახვილა გლობალურ ინფორმირებულობასა და ზრუნვაზე კლიმატის ცვლილების პოტენციური გავლენის შესახებ. ამჟამად, ამ საკითხს მნიშვნელოვანი გავლენა არ ჰქონია ფინანსურ ანგარიშგებაზე და კომპანიის საქმიანობასა და ბიზნეს გეგმებზე სამომავლო ზემოქმედების პროგნოზირება რთულია. ხელმძღვანელობა აგრძელებს მონიტორინგს ამ სფეროში განვითარებულ მოვლენებზე და კომპანიის სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროების მიხედვით გამოეხმაურება და მიიღებს ყველა სამთავრობო ინსტრუქციას, როდესაც ის გამოიცემა იმ ბაზრებისთვის, სადაც კომპანია ახორციელებს საქმიანობას.

18. ფინანსური ინსტრუმენტები

სამართლიანი ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად შეფასების თარიღით ბაზრის მონაწილეებს შორის გარიგებისას. ფინანსური ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულებები განისაზღვრა კომპანიის მიერ, ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაციისა და სათანადო შეფასების მეთოდოლოგიის გამოყენებით. თუმცა, შეფასებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრისთვის საბაზრო მონაცემების ინტერპრეტირებისათვის აუცილებელია განსჯის გამოყენება. საქართველოს ჯერ კიდევ აქვს განვითარებადი ბაზრის მახასიათებლები და ეკონომიკური პირობების გამო კვლავ შეზღუდულია ფინანსურ ბაზრებზე აქტივობის მასშტაბი. საბაზრო კოტირებები შეიძლება მოძველებული იყოს, ან ასახავდეს ზეწოლის ქვეშ გაყიდვის ოპერაციებს და ამგვარად, არ წარმოადგენდეს ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებას. ხელმძღვანელობამ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად ყველა ხელმისაწვდომი საბაზრო ინფორმაცია გამოიყენა.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივები. ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების შეფასებული სამართლიანი ღირებულება ემყარება შეფასებულ სამომავლო ფულად ნაკადებს (რომლის მიღებაც მოსალოდნელია), დისკონტირებულს მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით. გამოყენებული დისკონტირების განაკვეთი დამოკიდებულია პარტნიორის საკრედიტო რისკზე. სავაჭრო დებიტორული დავალიანებებისა და სხვა ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები ახლოსაა მათ სამართლიან ღირებულებებთან, მოკლევადიანი დაფარვის ვადების გამო.

ამორტიზებული ღირებულებით ასახული ვალდებულებები. განსაზღვრული დაფარვის ვადის მქონე ფიქსირებულგანაკვეთიანი ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების შეფასება განისაზღვრა

მოსალოდნელი ფულადი ნაკადების საფუძველზე, რომელთა დისკონტირება განხორციელდა მსგავსი საკრედიტო რისკისა და დარჩენილი დაფარვის ვადის მქონე ახალი ინსტრუმენტების მიმდინარე საპროცენტო განაკვეთით. კომპანიის ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება მიახლოებულია მათ სამართლიან ღირებულებასთან.

ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა 1-ლი დონის შეფასების გამოყენებით, ხოლო ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა მე-2 დონის შეფასების გამოყენებით.

კაპიტალის მართვა

კაპიტალის მართვასთან დაკავშირებით კომპანიის მიზნებია გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, რათა უზრუნველყოს უკუგება აქციონერებისთვის და სარგებელი სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, ასევე, შეინარჩუნოს კაპიტალის ოპტიმალური სტრუქტურა, რათა შეამციროს კაპიტალის ღირებულება. კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან კორექტირებისთვის კომპანიამ შეიძლება შეცვალოს აქციონერებისთვის გადახდილი დივიდენდების ოდენობა. სამუშაო კაპიტალის ეფექტური მართვის მეშვეობით ხელმძღვანელობა უზრუნველყოფს ჯანსაღი ლიკვიდობის კოეფიციენტის შენარჩუნებას დივიდენდების გადახდის შემდეგ. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და გაუნაწილებელ მოგებას და შეფასებულია 10,788 ათასი ლარის ოდენობით (2021 წ.: 8,867 ათასი ლარი).

კომპანიას არ გააჩნია გარედან დაკისრებული მოთხოვნები კაპიტალზე.

ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი კატეგორიები – კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სესხებსა და ნასესხებ თანხებს, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ამ ფინანსური ინსტრუმენტების ძირითადი მიზანია კომპანიის საქმიანობისთვის დაფინანსების უზრუნველყოფა. კომპანიას სხვადასხვა ფინანსური აქტივები აქვს, როგორიცაა მაგალითად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, გაცემული სესხები და ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები.

	2022 წ. 31 დეკემბერი	2021 წ. 31 დეკემბერი
ფინანსური აქტივები		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,450	1,966
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,952	3,913
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,327	2,670
საიჯარო ვალდებულებები	2,972	2,733

კომპანიის ფინანსური ინსტრუმენტებიდან წარმოშობილი ძირითადი რისკები უკავშირდება უცხოურ ვალუტას, პროცენტებს, კრედიტებს და ლიკვიდობის რისკებს.

სავალუტო რისკი - სავალუტო რისკია რისკი, რომ კომპანიის ფინანსურ შედეგებზე უარყოფით გავლენას მოახდენს სავალუტო კურსების ცვლილება. კომპანია გარკვეულ ოპერაციებს უცხოურ ვალუტაში ახორციელებს. კომპანია წარმოებულებს არ იყენებს სავალუტო რისკის მართვისთვის.

კომპანიის უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2022 წ. 31 დეკემბერი		2021 წ. 31 დეკემბერი	
	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 2.7020 ლარი	ევრო 1 ევრო = 2.8844 ლარი	აშშ დოლარი 1 აშშ დოლარი = 3.0976 ლარი	ევრო 1 ევრო = 3.5040 ლარი
ფინანსური აქტივები				
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	2	6	3	-
სულ ფინანსური აქტივები	**2**	**6**	**3**	**-**
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები	(45)	(17)	-	-
სულ ფინანსური ვალდებულებები	**(45)**	**(17)**	**-**	**-**
სულ ნეტო პოზიცია	**(43)**	**(11)**	**3**	**-**

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია კომპანიის მგრძნობელობა უცხოური ვალუტების მიმართ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით სამუშაო ვალუტის ვალუტის 20%-ით გამყარების/გაუფასურების შემთხვევაში. ანალიზი ჩატარდა საანგარიშო თარიღით შესაბამის ვალუტებში დენომინირებულ ფულად ერთეულებზე.

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი – 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი – 20%
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე	(9)	9	(2)	2

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	აშშ დოლარის გავლენა		ევროს გავლენა	
	აშშ დოლარი/ლარი + 20%	აშშ დოლარი/ლარი – 20%	ევრო/ლარი + 20%	ევრო/ლარი – 20%
(ზარალი) / მოგება დაბეგვრამდე	1	(1)	-	-

საპროცენტო განაკვეთის რისკი - საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი, რომ მცოცავი საპროცენტო განაკვეთების ცვლილებები უარყოფით გავლენას მოახდენს კომპანიის ფინანსურ შედეგებზე. კომპანიას არა აქვს საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან მას არ გააჩნია მცოცავი საპროცენტო განაკვეთით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები.

<u>მგრძნობელობის ანალიზის შეზღუდვები</u>
ზემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ძირითადი დაშვების ცვლილების გავლენა მაშინ, როდესაც სხვა დაშვებები უცვლელია. თუმცა, რეალობაში არსებობს ამ დაშვებებსა და სხვა ფაქტორებს შორის კორელაცია. აღსანიშნავია ასევე, რომ ეს მგრძნობელობა წრფივი არ არის და ამ შედეგებიდან უფრო მეტი ან ნაკლები გავლენის ინტერპოლაცია ან ექსტრაპოლაცია არ შეიძლება.

მგრძნობელობის ანალიზში გათვალისწინებული არ არის, რომ კომპანიის აქტივები და ვალდებულებები აქტიურად იმართება. ამასთან, კომპანიის ფინანსური მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს იმ დროს, როდესაც ფაქტობრივი საბაზრო მოძრაობა დაფიქსირდება. მაგალითად, კომპანიის ფინანსური რისკის მართვის სტრატეგიის მიზანია ბაზრის მერყეობის რისკის მართვა. ინვესტიციების ბაზარი იცვლება სხვადასხვა დონის გარკვეული მიზეზების გამო და ხელმძღვანელობის ქმედებები შეიძლება მოიცავდეს

ინვესტიციების გაყიდვას, საინვესტიციო პორტფელის განაწილების შეცვლასა და სხვა დამცავ ზომებს. შედეგად, დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება ფაქტობრივად არავითარი გავლენა არ იქონიოს ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც აქტივები ბალანსში საბაზრო ღირებულებით აისახება. ასეთ ვითარებაში, ვალდებულებებისა და აქტივების განსხვავებული შეფასების საფუძველი განაპირობებს სააქციო კაპიტალის მერყეობას.

ზემოთ მოცემული მგრძნობელობის ანალიზის სხვა ნაკლოვანებები მოიცავს ბაზარზე სავარაუდო ცვლილებებს, რათა წარმოჩინდეს პოტენციური რისკი, რაც წარმოადგენს მხოლოდ კომპანიის შეხედულებას შესაძლო მოკლევადიან საბაზრო ცვლილებებზე, რომელთა დანამდვილებით წინასწარგანჭვრეტა შეუძლებელია; და ასევე დაშვებას, რომ ყველა საპროცენტო განაკვეთი ერთნაირად იცვლება.

საკრედიტო რისკი - საკრედიტო რისკი არის მომხმარებლის დეფოლტის ან მის მიერ კომპანიის წინაშვე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის რისკი, რაც კომპანიისთვის ზარალის წარმოქმნას განაპირობებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება, საიდანაც გამოქვითულია გაუფასურების ზარალი, წარმოადგენს კომპანიის მქასიმალურ საკრედიტო რისკს. კომპანია საცალო ვაჭრობით არის დაკავებული. საცალო ვაჭრობის სექტორში გაყიდვები მაღაზიებში ხორციელდება გადახდის ტერმინალების მეშვეობით და მომხმარებელი პროდუქტისთვის მაშინვე იხდის თანხას.

ლიკვიდობის რისკი - ლიკვიდობის რისკი არის რისკი, რომ კომპანია ვერ შეძლებს თავისი ყველა ვალდებულების დაფარვას მაშინ, როდესაც დადგება მათი დაფარვის ვადა.

კომპანია ამ სახის რისკებს აკონტროლებს დაფარვის ვადის ანალიზისა და მომდევნო ფინანსური პერიოდისთვის კომპანიის სტრატეგიის განსაზღვრის მეშვეობით. ლიკვიდობის რისკის მართვისთვის კომპანია მოსალოდნელი ფულადი ნაკადების ყოველდღიურ მონიტორინგს აწარმოებს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია დეტალური ინფორმაცია კომპანიის არაწარმოებული ფინანსური ვალდებულებების დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადებისა და გადახდის პერიოდების შესახებ 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრისთვის. ცხრილი შედგენილია ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადების საფუძველზე, იმ უახლოესი თარიღის გამოყენებით, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა. ცხრილი მოიცავს როგორც პროცენტის, ისე ძირითადი თანხის გადახდებს. სახელშეკრულებო დაფარვის ვადა ეფუძნება უახლოეს თარიღს, როდესაც კომპანიას შეიძლება მოეთხოვოს გადახდა.

ლიკვიდობისა და საპროცენტო განაკვეთის რისკის ანალიზი მოცემულია შემდეგ ცხრილში. ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია ემყარება კომპანიის ძირითადი ხელმძღვანელი პირებისთვის მიწოდებულ ინფორმაციას. ამ ცხრილებში მითითებული თანხები არ შეესაბამება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ასახულ თანხებს, რადგან ქვემოთ მოყვანილი პრეზენტაცია მოიცავს ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დაფარვის ვადის ანალიზს, და ასახულია სულ დარჩენილი სახელშეკრულებო გადახდები (პროცენტის გადახდების ჩათვლით), რომლებიც არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
2022 წ. 31 დეკემბერი			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,450	-	1,450
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,952	-	4,952
სულ	**6,402**	**-**	**6,402**
2022 წ. 31 დეკემბერი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	4,327	-	4,327
საიჯარო ვალდებულებები	2,287	919	3,206
სულ	**6,614**	**919**	**7,533**

	1 წელზე ნაკლები	1 წელზე მეტი	სულ
2021 წ. 31 დეკემბერი			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	1,966	-	1,966
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,913	-	3,913
სულ	**5,879**	**-**	**5,879**
2021 წ. 31 დეკემბერი			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	2,670	-	2,670
საიჯარო ვალდებულებები	1,945	1,005	**2,950**
სულ	**4,615**	**1,005**	**5,620**

19. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები მოიცავს მესაკუთრეებს, საერთო საკუთრებასა და საერთო კონტროლს დაქვემდებარებულ საწარმოებს, ასევე, ძირითად ხელმძღვანელ პირებს.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება დადონ გარიგებები, რომლებსაც დაუკავშირებელი მხარეები არ დადებენ. იმავე პირობებსა და გარემოებებში დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები შეიძლება ეფექტური არ იყოს დაუკავშირებელ მხარეებს შორის გარიგებებთან შედარებით.

თითოეული შესაძლო დაკავშირებული მხარის ურთიერთობის განხილვისას, ყურადღება გამახვილებულია ურთიერთობის არსზე და არა იურიდიულ ფორმაზე. კომპანიას შემდეგი ნაშთები და გარიგებები ჰქონდა დაკავშირებულ მხარეებთან:

	2022 წ. 31 დეკემბერი			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,096	-	-	**4,096**
საიჯარო ვალდებულებები	2,972	-	-	**2,972**

	2021 წ. 31 დეკემბერი			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,491	-	-	**2,491**
საიჯარო ვალდებულებები	2,733	-	-	**2,733**

	2022			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
ამონაგები	111	-	-	**111**
შესყიდვები	304	-	-	**304**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	5	-	-	**5**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	102	-	-	**102**
საპროცენტო ხარჯი	132	-	-	**132**

	2021			
	მესაკუთრეები	საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოები	სხვა	სულ
ამონაგები	673	-	-	**673**
შესყიდვები	127	-	-	**127**
გაყიდვისა და დისტრიბუციის ხარჯები	344	-	-	**344**
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	102	-	-	**102**
საპროცენტო ხარჯი	183	-	-	**183**

ძირითადი ხელმძღვანელი პირების ანაზღაურება

2022 და 2021 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის დირექტორებისა და სხვა ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურება გახლდათ მოკლევადიანი გასამრჯელოები და შეადგენდა 492 ათას ლარს და 123 ათას ლარს, შესაბამისად.

20. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდიდან წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მოვლენებს.

მმართველობის ანგარიში

1. საქმიანობის მიმოხილვა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება შპს „სან სთორზ“ (შემდგომში“კომპანია”) საიდენტიფიკაციო ნომრით: 404901282, თავისი ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას რომელიც რეგისტრირებულია: საქართველო, ქ. თბილისი, ვაკის რაიონი, ჭავჭავაძის გამზ. N34, სართ. თ. N6, რეგისტრაციის თარიღი 16 ივნისი, 2011 წელი.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენს 830,000 ლარს.

2022 წლის 31 დეკემბრისთვის, ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის 100% ავტორიზებული და სრულად გადახდილი საწესდებო კაპიტალი იყო 830,100 ლარი.

2022 წლის 31 დეკემბერს, ისევე როგორც 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შპს სან პეტროლეუმ ჯორჯია იყო კომპანიის პირდაპირი მშობელი.

2022 წლის ბოლოსთვის კომპანია ამუშავებს 77 მაღაზიას და 10 ჯიხურს, საქართველოს მასშტაბით მდებარე გალფის საწვავის სადგურებზე. კომპანიის მიერ შემოთავაზებული პროდუქციაში შედის: სხვადასხვა სასმელები, სხვადასხვა სახის სიგარეტი, ჩიფსები, შოკოლადის ფილები, ჰოთ-დოგები და ა.შ. დასაქმებულთა რაოდენობა, 2022 წლის და 2021 წლის 31 დეკემბერს შეადგენდა 441 და 366 ადამიანს, შესაბამისად.

2. საქმიანობის ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები

შპს სან სთორზ-ის შემოსავალმა 2022 წელს შეადგინა 42,585,689 ლარი (2021: 36,261,238 ლარი). კომპანიის მთლიანი მოგება 2022 წელს შემცირდა 2021 წელთან შედარებით 3,939,584 ლარიდან 3,410,798 ლარამდე.

3. კვლევების და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანია სისტემატიურად მუშაობს პროცესების ოპტიმიზაციასა და გაუმჯობესებაზე, რომელიც შედეგად იძლევა ხარჯების შემცირების საშუალებას. კომპანია წლის მანძილზე აქტიურად ახდენს მომხმარებელთა აზრის კვლევას მის მიერ შეთავაზებულ პროდუქციასა და სერვისთან დაკავშირებით. კომპანიამ დანერგა ახალი პროდუქტი, რომელიც საშუალებას იძლევა მომხმარებელმა გაუგზავნოს შეტყობინებინება მომსახურეობის ხარისხთან დაკავშირებით. კომპანია მუდმივად ახდენს პროდუქციის მონიტორინგს. კომპანია მუდმივად ზრდასა და განვითარებაზეა ორიენტირებული. მომხმარებელთან სიახლოვე პრიორიტეტულია, ამიტომ ის მუდმივად იკვლევს მათ ინტერესს და ზრუნავს კმაყოფილების ზრდაზე.

4. ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ

შპს სან სთორზ არ ფლობს ფილიალებს.

5. კომპანიის საკრედიტო, ლიკვიდობის და ფულადი ნაკადების ლიკვიდობის მიმოხილვა და რისკების მართვის მექანიზმები

კომპანიის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია კომპანიის ოპერაციების დაფინანსება. კომპანიის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო დებიტორულ ანგარიშებს და ნაღდი ფულის ნაშთს მიმდინარე ანგარიშებზე, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მიიღება. კომპანიის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდურობის და საბაზრო რისკები.

ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება კომპანიის მენეჯმენტის დონეზე ყოველთვიურად. კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია კომპანიის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები.

6. საბაზრო რისკი

სან სთორზ-ის ერთერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საბაზრო რისკი არის პროდუქციის ფასის ზრდა. კომპანიის პროდუქციის დიდი ნაწილი იმპორტირებულია სხვა ქვეყნიდან და შესაბამისად მომწოდებელი დამოკიდებულია შესყიდვის დროს არსებულ გაცვლით კურსზე. პროდუქტის შესყიდვა ხდება აშშ დოლარში, ხოლო კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე საბოლოო პროდუქციის საცალო ქსელში და კორპორატიული რეალიზაცია ხდება მხოლოდ ლარში. შესაბამისად, საბოლოო პროდუქტის ფასში, შესასყიდი ფასი ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტია. აღნიშნული რისკის დაზღვევა ხდება ნაწილობრივ, პროდუქტის შემოტანების წლის მანძილზე თითქმის თანაბარი გადანაწილებით, თუმცა ეს პროცედურა ვერ უზრუნველყოფს რისკის სრულ დაზღვევას.

ამასთან უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მაღალი დონის კონკურენცია, რომელსაც ქმნიან სხვა ბრენდული თუ არაბრენდული ქსელები. კომპანიის კონკურენტები არიან როგორც ეგრედ წოდებული სასურსათო მაღაზიები, რომლებიც ავტოგასამართი სადგურის მახლობლად მდებარეობს, ასევე სხვა ავტოგასამართ სადგურებზე არსებული მაღაზიები.

კონკურენცია მიმდინარეობს საფასო სეგმენტში, ხოლო საფასო და მომსახურების ხარისხის (მაღაზიის ვიზუალი, კონსულტანტის ურთიერთობა მომხმარებელთან, საბონუსე ქულების სისტემის არარსებობა) სეგმენტში არაბრენდულ მაღაზიებთან მიმართებაში. შედეგად, კომპანიაში შექმნილია სამუშაო გუნდი, გენერალური დირექტორის, გაყიდვების, საოპერაციო, ფინანსური და ქსელის მართვის დირექტორების შემადგენლობით, რომელიც რეგულარულად იკრიბება არაფორმალურად და განიხილავს კონკურენტების საფასო პოლიტიკას, რეალიზაციის პირობებს, ფასდაკლებებს და ახდენს შესაბამის რეაგირებას. რეაგირება ასევე ხდება არსებული მომსახურებების გაუმჯობესების მიმართებაში, რათა მომხმარებლითვის მისაღები და სასურველი იყოს პროდუქტების შეძენა.

7. საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკების მინიმიზაციის მიზნით კომპანიაში ფუნქციონირებს მონიტორინგის დეპარტამენტი, რომელიც მუდმივ რეჟიმში ახდენს კომპანიის მაღაზიების მონიტორინგს, ატარებს ნაშთების ინვენტარიზაციას, ნაღდი ფულის და სხვა მატერიალური ფასეულობების კონტროლს.

საოპერაციო რისკების შემცირების მიზნით ავტოგასამართ სადგურის მენეჯერი ან უფლებამოსილი პირი აკეთებს მაღაზიის საწყობის ინვენტარიზაციას, ხოლო დამოუკიდებელი სამსახური თვეში ერთხელ აკეთებს გენერალურ ინვენტარიზაციას.

დამატებით თითოეულ მაღაზიაში არის დამონტაჟებული სამეთვალყურეო სისტემა, რომლის მუდმივი მონიტორინგი სდება უფლებამოსილი გუნდის მიერ.

ამ ზომების გარდა, კომპანიას დაზღვეული აქვს მესამე პირის ქონებისა და ჯანმრთელობის პასუხისმგებლობა გაუთვალისწინებელი შემთხვევების თავიდან ასაცილებლად.

8. განვითარების გეგმები

შპს სან სთორზ გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია: უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე, ახალი სერვისების დანერგვაზე, ასევე კომპანიამ დაიწყო სხვა მომსახურეობის სფეროების დამატება, მაგალითად ავტომანქანის რეცხვის სერვისი „self service". გარდა ამისა, ლოიალობის პროგრამა, საოპერაციო სისტემების განვითარება, ისევე როგორც ეფექტიანობის ზრდა, კვლავ რჩება შპს სან სთორზ-ის პრიორიტეტად.

კომპანია გრძელვადიან პერსპექტივაში ორიენტირებულია როგორც უკვე არსებული სერვისების განვითარებაზე, ისე ახალი სერვისების დანერგვაზე. კომპანია მუდმივად ანვითარებს ლოიალობის სისტემას, მაგალითად 2018 წლიდან თითოეულ მომხმარებელს შეუძლია უკუკავშირის მოწერა მომსახურეობასთან დაკავშირებით.

9. კორპორაციული სოციალური პასუხისმგებლობა

უკრაინა-რუსეთის ომის დროს საწვავი ჰუმანიტარული ტვირთის გადაზიდვისთვის განკუთვნილ ავტომობილებს მიეწოდებოდათ. გარდა ამისა, საახალწლო და აღდგომის პერიოდებში უკიდურესად გაჭირვებულ პირებს გაეწია ფინანსური დახმარება.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიმართულება ცხოველების დაცვა და მათზე ზრუნვაა. კომპანიამ 2022 წელს 50-ზე მეტ ძაღლს დაეხმარა და მათთვის 4 ტონაზე მეტი საკვები გასცა. გარდა ამისა, კომპანია მთელი წლის განმავლობაში ზრუნავს 300-ზე მეტ ძაღლზე, უზრუნველყოფს მათ სამედიცინო ან სხვა ვეტერინარულ მომსახურებას.

განათლების სფეროში ჩართულობის ფარგლებში, კომპანიამ ხელი მოაწერა მემორანდუმს საქართველოში აშშ-ის საელჩოსთან რამდენიმე სტუდენტის სასწავლო პროცესის დასაფინანსებლად. ახლა მათ აქვთ შესაძლებლობა ისწავლონ აშშ-ში. ასევე აღსანიშნავია, რომ 100 საუკეთესო სტუდენტს ყოველწლიურად 300 ლარის სტიპენდია გადაეცა.

კომპანია ასევე აწვდის წიგნებს რეგიონულ ბიბლიოთეკებს. კომპანიამ მოინახულა საქართველოს 200-ზე მეტი სოფელი, რათა მოეწყო ბიბლიოთეკები განათლების დონის ასამაღლებლად, ასევე 20 სტუდენტს გადაეცა პერსონალური კომპიუტერები.

_____

ზაზა ურუშაძე
გენერალური დირექტორი

თბილისი, საქართველო
13 ოქტომბერი 2023